# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცბიერობით და ქორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 23 მარტი. 2022 წ. №41 (9379) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# გააფთრებული ბრძოლა სინდისსა და უსინდისობას შორის...



ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე), ფილოსოფიის დოქტორი

კიევ-პეჩორის ლავრა

იხ. 6-7 გვ.

**ევროსაბჭოს 15425 რეზოლუცია, უკრაინის კათოლიკური უნია (ერთობა) და მებრძოლი ლიბერალიზმის რეალური სახე**

დასავლეთმა უკვე ოფიციალურად დააყენა საზოგადოება არჩევანის წინაშე: ქრისტიანობა ან ლგბტ! სწორედ ამ გლობალურ პრობლემაზე უკრაინელი ჟურნალისტების პირით მოგითხრობთ, რამდენად დიდი განსაცდელის წინაშე დგანან არა მარტო უკრაინელი, არამედ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მართლმადიდებელი ქრისტიანები.

## ნობელის მედალი უკრაინელი ლტოლვილების მხარდამჭერ ფონდს გადასცა



რუსული „ნოვაია გაზეტას“ მთავარმა რედაქტორმა **დიმიტრი მურატოვმა**, რომელმაც 2021 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღო, თავისი მედალი უკრაინელი ლტოლვილების მხარდამჭერ ფონდს გადასცა.

**„დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები: შეწყდეს ცეცხლი, შედგეს ტყვეების გაცვლა, მხარეებმა დაიბრუნონ გარდაცვლილთა ცხედრები, გაიხსნას ჰუმანიტარული დერეფნები, უზრუნველყოფილი იყოს ლტოლვილთა საჭიროებები. რა შეგვიძლია ჩვენ? გავუზიაროთ მშვიდობიან ლტოლვილებს, დაჭრილებსა და ავადმყოფ ბავშვებს ის, რაც ჩვენთვის ძვირფასია და სხვისთვისაც ღირებულს წარმოადგენს. „ნოვაია გაზეტამ“ და მე გადავწყვიტეთ, გადავცეთ 2021 წლის ნობელის მშვიდობის პრემიის მედალი უკრაინელი ლტოლვილების მხარდამჭერ ფონდს. ლტოლვილთა რიცხვმა უკვე 10 მილიონს გადააჭარბა. ვთხოვ სააუქციონო სახლებს, დაგვიკავშირდნენ და გაყიდონ ეს საქვეყნოდ ცნობილი ჯილდო აუქციონზე“,** — აცხადებს დიმიტრი მურატოვი.

## ნუგზარ ბ. რუხაძე



# სადამ ჰუსეინიდან პუტინამდე... თურქეთ-ირანის გავლით!.. ⑧

## მირონ ხერგიანი



# მაქციების ფუნდრუკი „ჯაველინების“ ④ აკომპანემენტით

# ანონსი,

მომავალ ნომერში



პარასკევს, 25 მარტს, ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის საგულისყურო წერილი-კვლევა

**როგორ გვმართებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოხსენიება**

## რატომ აქიანურებს დასავლეთ ევროპა და ამერიკა რუსეთის აგრესიის ჩახშობას უკრაინაში?! ⑤



## ⑪ ნავთობის დიდ გაძვირებას დიდი კლებაც მოჰყვა, მაგრამ!..



**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 14 საკითხი განიხილა.**

# 98 ფიზიკურ პირს რუსთავში ბინები 1 ლარად გადაეცემა!

მთავრობის განკარგულებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად — 1 ლარად 98 ფიზიკურ პირს ქალაქ რუსთავში საკუთრებაში გადაეცემა და დაუკანონდება მათსავე ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები.

მთავრობამ ასევე დაამტკიცა განკარგულება, რომლის თანახმად, ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიზნობრიობით გაცემული სესხის პროცენტს სახელმწიფო დაფარავს. „შეღავათიანი აგროკრედიტის" პროექტს ქვეკომპონენტი ემატება, რომლითაც ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნობრიობით გაცემული სესხის 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას, წლიური 9%-ის ოდენობით, სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს.

სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა 18%-ით არის დადგენილი. პროექტის ფარგლებში, ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრა 5 000-დან 100 000 ლარის ჩათვლით.

ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის მიზნობრიობა მოიცავს ერთწლოვანი კულტურების სათესი და სარგავი მასალის პესტიციდების, ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების მიმდინარე ხარჯების, ერთწლოვანი კულტურებისთვის შრომითი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავების სამუშაოების, გამოყენებული ტექნიკის საწვავ-საცხები მასალების მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას. თანადაფინანსებით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეებსა და იურიდიულ პირებს. საფინანსო ინსტიტუტებს შეეძლებათ, სესხები გასცენ 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. ამასთან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდასაჭერად კიდევ ერთი პროგრამა განხორციელდება.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების" სახელმწიფო პროგრამის პირობებით, სოფლის განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს შემნახველი და სამაცივრე ინფრასტრუქტურის თანადაფინანსებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ბოსტნეულისა და კარტოფილის შესანახად. 500 ტონა ტევადობის შემნახველი საწარმოს თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს, მისი ჯამური ღირებულების არაუმეტეს 80%-ს და არაუმეტეს 450 000 ლარს.

# შალვა პაპუაშვილი: ჩვენი კოლეგების ნაწილი ჩართულია ჰიბრიდულ ომში!



**ნეიტრალიტეტის საკითხს რაც შეეხება, კარგად ვიცით, საიდან დაიწყო — 17 მარტს, სასამართლო სხდომაზე, მიხეილ სააკაშვილმა, პირველმა თქვა საკითხის შესახებ და ამის შემდეგ გაიშალა პოლიტიკოსების თუ გარკვეული ე.წ. სპიკერების მხრიდან სოციალურ მედიაში, თითქოს ეს არის თემა, არადა, საკითხი საერთოდ არ დგას, —** ასე გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებებს. ბიუროს სხდომაზე, შალვა პაპუაშვილმა კონსოლიდაციის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

**„როდესაც თქვენ საუბრობთ ერთობლივ ინიციატივებზე, სწორედ ეს არის პრობლემა, სამწუხაროდ. ჩვენი კოლეგების ნაწილი ჩართულია ჰიბრიდულ ომში იმ კუთხით, რომ დეზინფორმაციას პირდაპირ თავად ავრცელებენ სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ. ახლა, სამწუხაროდ, იმ ერთობის მომენტი არ არის და ვერ გამოდის, ამიტომ, კონსოლიდაცია უფრო სწორი ტერმინი იქნებოდა, სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერა, იმისთვის, რომ მშვიდობა შენარჩუნდეს, ევროინტეგრაციის გზაზე მყარად ვიყოთ და მიზანს მივაღწიოთ"...**

# კახა კალაძე: ნეიტრალიტეტზე საუბარი უხერხულია!



**დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, ნეიტრალიტეტზე საუბარი უხერხულია, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც უკრაინაში ომია.** აღნიშნული კომენტარით კალაძემ უპასუხა „მთავარი არხის" შეკითხვას: **„რა პოზიცია აქვს საქართველოს ნეიტრალიტეტზე".**

კახა კალაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის იქცეოდა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე და მომავალშიც ასე იქნება.

**„დღეს უხერხულია ამ თემაზე საუბარი. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც უკრაინაში ომია. უბრალოდ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებს, უნდა გეუხერხულებოდეთ ამ თემაზე საუბარი. ძალიან კარგად მესმის, რომ თქვენთვის არანაირი უხერხულობა და პატრიოტიზმი არ არსებობს, ეს სამწუხაროა. თქვენ, როგორც რიგით მოქალაქეს, უნდა შეგრცხვეთ ამ თემის წამოწევის გამო. საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის იქცეოდა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ასე იქნება მომავალშიც",** — მიმართა კახა კალაძემ ტელეკომპანია „მთავარის" ჟურნალისტს.

# გიორგი ხელაშვილი: ნუ აჰყვებით „ნაციონალურ მოძრაობას" და ნუ დაიწყებთ ნეიტრალიტეტის ზონდირებას საქართველოში!



**რამდენიმე დღის წინ, ყოფილმა პრეზიდენტმა, სააკაშვილმა თავის გამოსვლაში ახსენა სიტყვა ნეიტრალიტეტი. ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან საშიში რამ. ეს არის აშკარად შემოგდებული ქვეყნის გარედან იმისთვის, რომ საქართველოში დაიწყოს ამ ძალიან საშიში თემის განხილვა,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, გიორგი ხელაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

**„პასუხისმგებლიან პოლიტიკოსებს მოგიწოდებთ, ნუ აჰყვებით „ნაციონალურ მოძრობას" და ნუ დაიწყებთ ნეიტრალიტეტის ზონდირებას საქართველოში. კონსტიტუციით, საქართველო არის ქვეყანა, რომელიც აპირებს ნატოში გაწევრიანებას, ამიტომ ნეიტრალიტეტზე საუბარი უბრალოდ ვერ იქნება.**

**სამწუხაროდ, რადიკალური ოპოზიციის მხრიდან ხდება ნეიტრალიტეტის თემის ზონდირება, სავარაუდოდ რუსეთიდან პირდაპირი მითითებით. მოგიწოდებთ, ამ თემას ნუ აჰყვებით, ეს არის ქვეყნისთვის ძალიან საშიში, იურიდიულად ეს არის ფიქსირებული ჩვენს კანონმდებლობაში, კონსტიტუციაში და საქართველო იყო, არის და დარჩება პროდასავლურ ქვეყნად",** — აღნიშნა გიორგი ხელაშვილმა.

# გრიგოლ ვაშაძეს ბოკერიას აზრი დამდნარი თოვლივით აინტერესებს!

**ამ ხელისუფლებამ გადადგა ძალიან სწორი ნაბიჯები, რასაც გადადგამდა საქართველოს ყველა პატრიოტული ხელისუფლება,** — განაცხადა პარლამენტის წევრმა გრიგოლ ვაშაძემ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „თავისუფალი სივრცის" ეთერში.

ამ განცხადებით გრიგოლ ვაშაძე გამოეხმაურა გიგა ბოკერიას განცხადებას, რომელმაც ვაშაძის კომენტარს, რომ საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით პრეტენზია ვერ ექნება, კატასტროფული უწოდა.

**„გიგა ბოკერიას აზრი ისე მაინტერესებს, როგორც გუშინწინ დამდნარი თოვლი. რაც უნდა ის ილაპარაკოს, უხეშ სიტყვებს არ ვიხმარ, აბსოლუტურად არ მაინტერესებს.**

**დიახ, ამ ხელისუფლებამ გადადგა ძალიან სწორი ნაბიჯები, რასაც გადადგამდა საქართველოს ყველა პატრიოტული ხელისუფლება. პირველი, უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას გენერალურ ასამბლეაზე დაუჭირა მხარი; რუსეთის ფედერაციის გარიცხვას ევროპის საბჭოდან დაუჭირა მხარი; დიდი ბრიტანეთის ინიციატივას, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ აღძრულიყო საქმე იმის გამო, რუსეთის ფედერაციამ განახორციელა საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევით უკრაინის წინააღმდეგ აგრესია, დაუჭირა მხარი. არ ვთქვათ ეს? ანუ ვთქვათ, რომ ეს არ გაუკეთებია საქართველოს ხელისუფლებას?! მაპატიეთ და ხომ იდიოტიზმია?!**

# სახელმწიფო სოფელს ეხმარება

ოთარ შამუგიას განცხადებით, მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 2 გადაწყვეტილება მიიღეს, რომელთა მიზანიც ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ხელშეწყობაა. ამ თემაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა.



**„პირველი არის ცვლილებები შეღავათიან აგროკრედიტში, რომლის მიხედვითაც ფერმერებს საშუალება ექნებათ ერთწლოვანი კულტურების წარმოებისთვის აიღონ შეღავათიანი სესხი, რომლის ფარგლებშიც ისინი დააფინანსებენ საბრუნავი სახსრებისთვის საჭირო ფულად რესურსებს ისეთი საჭიროებებისთვის, როგორებიც არის სათესლე მასალები, საწვავი, ტექნიკის დაქირავება თუ ასევე სხვა ხარჯები და სახელმწიფო ასეთ გაცემულ სესხებს 9%-ით დაასუბსიდირებს. მთლიანობაში, პროექტის მიხედვით, ბანკის მიერ გაცემული საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 18%-ს. ანუ ჩვენ საპროცენტო განაკვეთს მინიმუმ ნახევარს დავასუბსიდირებთ",** — განმარტა მინისტრმა. მისივე განცხადებით, მეორე ცვლილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერას შეეხება.

**„ახალი პროგრამა, რომელიც კოოპერატივების მხარდაჭერისკენ მიმართულ, ბოსტნეული კულტურების შემნახველი მეურნეობების შექმნისთვის სახელმწიფოს მხრიდან ძალიან მაღალ, 80%-იან თანადაფინანსებას ითვალისწინებს. ანუ, ფერმერებს, რომლებიც ბოსტნეულ კულტურებს აწარმოებენ, შეუძლიათ გაერთიანდნენ, შექმნან კოოპერატივი და თუ დააკმაყოფილებენ კონკრეტულ გაწერილ პირობებს, ბოსტნეულის შემნახველი მეურნეობის მოწყობისთვის სახელმწიფოსგან გრანტის სახით მიიღებენ დაფინანსებას, მთლიანი ღირებულების 80%-ის ოდენობით",** — განაცხადა მინისტრმა.



# საფინანსო სექტორი მდგრადია...

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე საქართველოს საბანკო ასოციაციის პრეზიდენტს, ალექსანდრე ძნელაძეს და აღმასრულებელ დირექტორს გიორგი ბაგრატიონს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე, როგორც საბანკო, ისე მთლიანად საფინანსო სფეროში არსებული მდგომარეობა განიხილეს. საუბარი შეეხო მაკროეკონომიკურ და მონეტარულ სტაბილურობას, ინფლაციას, ლარის კურსს, საფინანსო სისტემის მდგრადობას და საერთაშორისო სანქციების იმპლემენტაციას.**

ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, რუსეთ-უკრაინის ომის მიუხედავად, საფინანსო სექტორი მდგრადია და ამ გამოწვევას ადეკვატურად პასუხობს.

**საფინანსო-საბიუჯეტო" კომიტეტი მზად არის, მხარი დაუჭიროს და განიხილოს ყველა ის ინიციატივა, რომელიც საფინანსო-საბანკო სფეროს კიდევ უფრო მდგრადობას განაპირობებს**", — აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.



# ჯო ბაიდენი: პუტინი კედელთან არის მიმწყვდეული...

**აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით რუსეთმა უკრაინაში ზებგერითი რაკეტა გამოიყენა და განიხილავს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობას,** — ამის შესახებ ჯო ბაიდენმა ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

როგორც აშშ-ის პირველმა პირმა განმარტა, ვლადიმერ პუტინი კედელთან არის მიმწყვდეული.

**„მას უკვე გამოუყენებია ქიმიური იარაღი წარსულში და ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მოხდეს. მან იცის, რომ იქნება სერიოზული შედეგები ნატოს ერთიანი ფრონტის გამო, თუმცა საქმე იმაშია, რომ ეს რეალურია“,** — განაცხადა ბაიდენმა.

# აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობები გაწყვეტის ზღვარზეა!



**რუსეთის საგარეო უწყებამ შტატების ელჩს საპროტესტო ნოტა გადასცა.**

საქმე ეხება გასულ კვირაში ჯო ბაიდენის მიერ გაკეთებულ განცხადებას, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინს ჯერ ომის დამნაშავე, შემდეგ კი სისხლიანი დიქტატორი უწოდა.

**„ამგვარი განცხადებები არ შეეფერება ასეთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეს და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები გაწყვეტის ზღვრამდე მიჰყავს“,** — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.



# ჟოზეფ ბორელი: ეს უკვე ომიც აღარაა, ეს უკრაინის მასობრივი განადგურებაა!

**ეს უკვე ომიც აღარაა. ეს ქვეყნის მასობრივი განადგურებაა, რაც ომის წესებსაც აღარ ექვემდებარება. ომსაც აქვს წესები და კანონები,** — ამის შესახებ ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, ჟოზეფ ბორელმა ჟურნალისტებს განუცხადა. მან რუსეთის მიერ უკრაინაზე განხორციელებული აგრესია კიდევ ერთხელ დაგმო.

**„რუსეთი ომის დანაშაულს სჩადის. ესაა სიმართლე და უნდა ვთქვათ.**

**რაც ხდება მარიუპოლში, ეს არის ომის დანაშაული. რუსეთი ანგრევს ყველაფერს, კლავს ხალხს, ეს არის საშინელება. ეს არის ტრაგედია. წარმოუდგენელი სისასტიკეა და ყველაზე მკაცრი გზით უნდა დავგმოთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ომის დანაშაულია. ქალაქი მარიუპოლი მთლიანად განადგურებულია. ხალხი დაიხოცა და კვდება ახლაც! უკრაინას დავეხმარებით ყველა ჩვენი რესურსით. რუსეთი იყენებს ყველა სამხედრო შესაძლებლობას და რაც ყველაზე სამწუხაროა, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ახორციელებს შეტევას. ეს უკვე ომიც აღარაა. ეს არის ქვეყნის მასობრივი განადგურება, რაც ომის წესებსაც აღარ ექვემდებარება. ომსაც აქვს წესები და კანონები. სამართლებრივად ვნახეთ, რომ სასამართლომ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული შეტევა უკვე დაგმო. ხალხი იტანჯება და პუტინს ცივილიზებულმა მსოფლიომ უნდა უპასუხოს“,** — განაცხადა ბორელმა.

# WSJ: პუტინმა ტაქტიკა შეცვალა!

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში ომი სამ კვირაზე მეტია გრძელდება, ტაქტიკა შეცვალა: მას კიევი მიზანში აღარ აქვს ამოღებული, სურს, კიევი აიძულოს, დათმოს სამხრეთ და აღმოსავლეთი ტერიტორიები,** — წერს WSJ ამერიკელ ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით.



ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა ტაქტიკას პუტინის გეგმა „ბ“ უწოდა. გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ მოსკოვმა უნდა აიძულოს კიევი, მიიღოს რუსეთის პრეტენზიები უკრაინის სამხრეთ და აღმოსავლეთ ტერიტორიებზე. რუსეთს სურს, უზრუნველყოს „სახმელეთო ხიდი“ დასავლეთ რუსეთსა და ანექსირებულ ყირიმის ნახევარკუნძულს შორის, ასევე გააფართოოს კონტროლი დონბასზე. რუსული არმია ასევე გააგრძელებს უკრაინის ქალაქების დაბომბვას, იმ იმედით, რომ ეს აიძულებს ვოლოდიმირ ზელენსკის, დაეთანხმოს რუსეთის მოთხოვნას — ნეიტრალურ სტატუსს. ხოლო თუ კიევი პუტინის მოთხოვნაზე ტერიტორიისა და ნეიტრალიტეტის შესახებ უარს იტყვის, მოსალოდნელია, რომ პუტინი შეეცდება, დაიკავოს ყველა ოკუპირებული ტერიტორია და გააგრძელოს ომი. სავარაუდოდ, ის უბრუნდება ალყის ტაქტიკას, რაც ნიშნავს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ სარაკეტო და საარტილერიო თავდასხმებს კვირების, შესაძლოა, თვეების განმავლობაში.

ამერიკელი ოფიციალური პირები ამბობენ, რომ პუტინს შეუძლია, გააფართოოს თავისი სამხედრო მიზნები, თუ მისი სამხედროები წარმატების მიღწევას დაიწყებენ. რაც შეეხება დედაქალაქის სტატუსს, ეს საკითხი ღიად რჩება და უკრაინის ძლიერი წინააღმდეგობის გათვალისწინებით, გაუგებარია, შეუძლია თუ არა რუსეთს საკმარისი სამხედრო შეკრიბოს, რათა მჭიდროდ შემოარტყას ალყა კიევს და აიღოს დედაქალაქი.

განმარტებულია, რომ პუტინის სტრატეგიის ინტერპრეტაცია არა სადაზვერვო სამსახურების ოფიციალური შეფასება, არამედ ზოგიერთი ამერიკელი ოფიციალური პირის თვალსაზრისია, რომლებსაც წვდომა აქვთ საიდუმლო ინფორმაციაზე.

# ათენი მარიუპოლში დაბომბილ სამშობიაროს აღადგენს!



**საბერძნეთი უკრაინას იმ სამშობიარო კლინიკის აშენებას სთავაზობს, რომელიც რუსეთმა მარიუპოლში დაბომბა. თავდასხმისას ორსული ქალი და მისი ბავშვი დაიღუპნენ, ათეულობით ადამიანი კი დაშავდა. მომხდარმა გლობალური აღშფოთება გამოიწვია.**

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კირიაკოს მიცოტაკისმა განცხადება ესპანეთის და პორტუგალიის ლიდერებთან საუბრის შემდეგ გააკეთა. ევროკავშირის ამ სამ სამხრეთულ ქვეყანასაც უწევს გამკლავება რუსეთის უკრაინაზე განმეორებითი თავდასხმის შედეგებთან. მიცოტაკისი საუბრობს ევროკავშირში ენერგოკრიზისის განეიტრალების აუცილებლობაზე და ნატოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საჭიროებაზე. პარასკევს მან თქვა, რომ განიხილება ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის საკითხიც. საბერძნეთის პრემიერის აზრით, უკრაინის დახმარება რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს, განსაკუთრებით — ომით განადგურებული მარიუპოლის, სადაც დიდი ბერძნული დიასპორაა. აზოვის ზღვის პირზე მდებარე 400 000-იან საპორტო ქალაქში 100 000-ზე მეტი ბერძენი ცხოვრობს.

მარიუპოლი რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ სიმტკიცის და მედეგობის სიმბოლო გახდა, აღნიშნავს მიცოტაკისი. ის ამბობს, რომ საბერძნეთი სამშობიარო კლინიკას ომის დასრულებისთანავე ააშენებს და ამით მცირე წვლილს შეიტანს ქალაქის აღდგენის საქმეში. პრემიერმა იქვე იმედი გამოთქვა, რომ ეს მალე მოხდება.

# უკრაინას დამატებით ნახევარი მილიარდი ევრო გამოეყოფა

**ევროკავშირის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა მხარი დაუჭირეს უკრაინის სამხედრო დახმარებისთვის დამატებით 500 მილიონი ევროს გამოყოფას,** — ამის შესახებ მინისტერიალის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა განაცხადა.

**„მოხარული ვარ გამოვაცხადო, რომ ჩვენ მივაღწიეთ პოლიტიკურ შეთანხმებას, დამატებით 500 მილიონის გამოყოფას ევროპის მშვიდობის ფონდის ფარგლებში. მიგვაჩნია, რომ ის, რაც უკრაინაში ხდება, არის მასშტაბური სამხედრო დანაშაული, რომელსაც სჩადიან რუსეთის შეიარაღებული ძალები უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ. ეს არ შეიძლება დარჩეს უპასუხოდ. სწორედ ამიტომ მივესალმებით გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ საგამოძიებო კომისიის შექმნას, ასევე მივესალმებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის გამოძიებას და შეგახსენებთ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განკარგულებას რუსეთის მიმართ, შეწყვიტოს ინტერვენცია უკრაინაში“,** — განაცხადა ბორელმა.

# უნგრეთი სანქციების დაწესებისგან თავს იკავებს



**უნგრეთი არ დაუჭერს მხარს სანქციებს, რომელმაც შესაძლოა, უნგრეთში ენერგორესურსების მიწოდებას საფრთხე შეუქმნას. როგორც უნგრული მედია წერს,** ამის შესახებ ბრიუსელში გამართული საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტერიალის შემდეგ უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პეტერ სიარტომ განაცხადა.

**„ჩვენ უკრაინაში ომის საფრთხის ახალ განზომილებაში შევედით, რისთვისაც გვჭირდება უფრო მკაცრი და მკაფიო ნაბიჯები უნგრეთში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც არის ჩვენს ეროვნულ ინტერესებში“,** — ციტირებს უნგრული გამოცემა „უნგრეთი დღეს“ მინისტრის განცხადებას. პეტერ სიარტოს თქმით, რუსეთის ენერგომატარებლების წინააღმდეგ ევროკავშირის შესაძლო სანქციებთან დაკავშირებით შეთანხმება დიდი ალბათობით არ იქნება მიღწეული. უნგრელი დიპლომატის თქმით, ევროკავშირში რუსულ ენერგომატარებლებზე სანქციების დაწესების იდეას მკაფიოდ უჭერს მხარს ქვეყნების გარკვეული ჯგუფი. ამასთან, ევროკავშირის დანარჩენი წევრები ნაკლებად აქტიურად, თუმცა მხარს უჭერენ ამ ინიციატივას. თუმცა რამდენიმე წევრი სახელმწიფო, მათ შორის უნგრეთი, ენერგომატარებლების წინააღმდეგ სანქციებს „წითელ ხაზად“ განიხილავს.

# ევროპა ჯერ კიდევ რუსულ გაზსა და ნავთობზეა დამოკიდებული



**ნიდერლანდების პრემიერი: ევროკავშირის ქვეყნები კვლავ დიდწილად დამოკიდებულნი არიან რუსულ ნავთობსა და გაზზე და მოკლე დროში მასზე უარს ვერ იტყვიან**

ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა მარკ რუტემ განაცხადა, რომ ევროკავშირის ქვეყნები კვლავ დიდწილად დამოკიდებულნი არიან რუსულ ნავთობსა და გაზზე და მოკლე დროში მასზე უარს ვერ იტყვიან. **„ევროპის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში ძალიან ბევრი გადამმუშავებელი ქარხანა ჯერ კიდევ მთლიანად დამოკიდებულია რუსულ ნავთობზე. რაც შეეხება გაზს, სიტუაცია კიდევ უფრო რთულია“,** — აღნიშნა ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა.

მარკ რუტეს თქმით, ევროკავშირმა უნდა მოიშოროს ეს დამოკიდებულება და რაც შეიძლება სწრაფად უნდა გააკეთოს ეს, თუმცა ამას ხვალვე ვერ გააკეთებს.



# მაქციების ფუნდრუკი „ჯაველინების“ აკომპანემენტით

მირონ ხერგიანი



**მოკვეთეს იგი (ნაბუქოდონოსორი) კაცთაგან; ხარების მსგავსად ბალახის ჭამა დაიწყო... თმები არწივის ბუმბულივით გაუხდა, ფრჩხილები კი — ფრინველის კლანჭებივით“.**

**(დანიელ წინასწარმეტყველი 4-30)**

**ჩვენი დროის ამ გაქნილი „ოსტაპ ბენდერისგან“ არც ის გამიკვირდება, გასული საუკუნის ბოლოს სტრასბურგში მისი გამოსვლის ვიდეოჩანაწერი (აქ რომ ფურორი მოახდინა!), მართლაც ევროსაბჭოს სხდომათა ცარიელ დარბაზში ამომრჩევლის მოსატყუებლად დადგმული თეატრალური წარმოდგენა ყოფილიყო. აქვე მისი განმუხტრული „თავგანწირვაც“ გავიხსენოთ, ოკუპანტ რუს ჯარისკაცებს შიშველი ხელებით უშიშრად რომ მიეჭრა და უკან დაახევინა... აღმოჩნდა, რომ ისიც სპექტაკლი იყო და მასში მონაწილეობისთვის, ნაცების ფინანსურ დონორ კობა ნაყოფიას, სარდალ სერგეი ჩაბანისთვის მილიონიც მიურთმევია..**

**ბავშვობაში ბებიაჩემი კერასთან მიმსვამდა, სვანურ ზღაპარ-ლეგენდებს მიყვებოდა და მაფრთხილებდა: — „ღამე გარეთ დიდხანს არ დარჩე, ავი სულები: დავები, ჰეერიები, შაშიშები დახეტიალობენ, გზად შემოყრილ ადამიანებს თავგზას უბნევენ და უფსკრულებში ჩეხავენო. ერთ-ერთი ასეთი თქმულება, მოგვიანებით რითმებში მოვაქციე:**

**„დაბდერში ავსულები დარიალებენ ღამისანი,**
**თავთ ზუჩი ჩამოუფხატავთო — რვალისანი,**
**ბაგეთ წკირები გაურჭვიათო — კვარისანი,**
**კბილ-ღოჯი სპილოს ძვალისანი,**
**ფეხთ ჯაბრალები — ტყავისანი,**
**შუბლი — ღაროსანი, ღაწვები ჯვალოსანი...**
**— გარეთ ნუ გახვალ, შვილოსაო, მიშგუ ლადაღ სი!“**

იმ სხვების არსებობა ნაკლებად მჯეროდა, მაგრამ „ქაამ მერდეებზე“ (მაქციებზე) მოყოლილი მეტად მზაფრავდა, ადამიანებს სახეშეცვლილი რომ ეცხადებოდნენ და ვისაც დაკბენდნენ, ისინიც მათსავით მაქციებად გარდაისახებოდნენ ხოლმე...

რა საოცარიც არ უნდა იყოს, მაქციებმა თითქოს სახე მართლაც იცვალეს, ენერგეტიკულ ვამპირებად გარდაისახნენ და ადამიანთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში უკვე სრულიად გაცხადებულად შემოიჭრნენ, ოჯახებშიც უცერემონიოდ გვივარდებიან და თავგზას გვიბნევენ. უფრო დაზუსტებით, მაქციებად ყველასთვის ნაცნობი ნაცტელევიზიები მოგვევლინნენ: „ტვ პირველი“, „მთავარი“, „ფორმულა“ და ასევე მათ „ტროიკას“ სოფლის ნახირს ობოლი ჩოკინასავით ადევნებული „კავკასია“... თითქოს ის არ გვყოფნიდეს, პარტიებად დაყოფილ პოლიტიკოსებს ერთმანეთში რა ჭამა-გლეჯაც აქვთ გაჩაღებული, ესენი დამატებით, შოუებში მიწვეულ დაპირისპირებულ მხარეებს გამოუგორებენ „განხეთილების ვაშლებს“ და იწყება საზოგადოებრივი გათიშულობის ახალ-ახალი რაუნდები... ვერ ვიხსენებ ნაცტელევიზიების თუნდაც ერთ გადაცემასაც კი, გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანება რომ ჰქონოდათ მიზნად დასახული.

ეკრანებიდან ოჯახებში გადმოღვრილი აგრესია სადინარს ინტერნეტში პოვებს, სადაც ჯანსაღი, ეროვნული აზრი კვლავ იჩქმალება და იცხრილება. სამაგიეროდ, დამამცირებელი „შე ნაცო“, „შე ქოცო“, „შე ბოტო“, „შე ტროლოს“ შეძახილებს და გინებას ყურთასმენა მიაქვს და ისედაც გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი, მართლაც ობოლი და უთვისტომო ქართველები, მეტად უღირსად გამოვიყურებით არათუ გარეშე, ჩვენსავე მიწაზე მცხოვრები ე.წ. ეთნიკური უმცირესობების თვალშიც. ნუ გვიკვირს, თუ ამგვარ დაკნინებულ ერში, ნეოლიბერალები სატანისტური იდეების დასანერგავად, მსუყე ნიადაგს პოულობენ.

...საზოგადოებრივმა დაპირისპირებამ აპოგეას ნაცების ბელზებელის — მიხეილ სააკაშვილის მოულოდნელად შემოპარვის შემდეგ მიაღწია. ნაპრეზიდენტალს იმედი ჰქონდა, რომ სამოქალაქო ომის მეშვეობით, ისევ ქვეყნის სათავეში მოექცეოდა, მაგრამ მოტყუვდა და თავი ციხეში ამოყო. ამჯერად უკვე პატიმარი სააკაშვილის უშუალო დირიჟორობით აგორდა ურთიერთშუღლის ახალი ტალღა. მან (თავისი სიტყვებით, ივანიშვილის პოლიტიკურმა ტყვემ), პროტესტის ნიშნად, უვადო შიმშილობა გამოაცხადა და საკუთარი მოშიმშილე პერსონის შთამბეჭდავად წარმოსაჩენად, მსოფლიო ავტორიტეტების მაგალითებსაც იშველიებდა: „მაჰათმა განდიმ შიმშილობით ინდოეთს დამოუკიდებლობა მოუპოვა. მანდელამ და მისმა თანამებრძოლებმა აპარტეიდი ჩამოშალესო“.

ლამის თვენახევრის მანძილზე მოშიმშილე სააკაშვილს მიშმადიდებლები ალბათ ანგელოზის ფრთებსაც გამოასხამდნენ, მოულოდნელად, საჭმლის კონტეინერებში ფისოსავით ჩაყუდებული რომ არ გვეხილა. აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში ეს შიმშილობა კი არა, საკმაოდ კალორიული დიეტა ყოფილა, რომელსაც პაციენტებს კუჭის დაპატარავების ოპერაციის შემდეგ უნიშნავენ...

პატიმრის გლდანის საავადმყოფოში გადაყვანა მაინც საჭირო გახდა. ჩანს, „ძვირფასი სტუმრის“ მიბრძანებას ციხის ბინადარნიც ხელების ფშვნეტით ელოდნენ და როგორც კი სააკაშვილის სმენას მეზობელი შენობიდან გისოსებს მიმწყდარი პატიმრების აღტყინებული ბღავილი მისწვდა, ისე დაფეთდა, გაჯიქებული მანქანიდან ვეღარ გადაჰყავდათ (მსგავსი ცხოველური შიში აგვისტოს ომის გორის ეპიზოდშიც ვიხილეთ და ჩანს, ქვეცნობიერში მიჭირხნულმა ისევ ამოხეთქა). ბადრაგი იძულებული გახდა, უზნეო ბავშვივით გადაფარჩხული აბლაყი, ხელ-ფეხჩავლებული შეეტანათ და კარტოფილის ტომარასავით დაედოთ პალატაში. აი, ეს ჩათვალეს სასტიკ წამებად მანაც და მისმა თავგადაკლულმა ქომაგებმა, რაზედაც ხმაური დღემდე არ წყდება...

ცოტა ხანში, პატიმარი გლდანიდან საპატიო ესკორტის თანხლებით, გორის ჰოსპიტალში გადააბრძანეს. მომჯობინებული კვლავ რუსთავის გზას გამოუყენეს, დღემდე ასე წინ და უკან დაარონიებენ და ერთგული მიშმადიდებლებიც ჟივილ-ხივილით, მტრედის გუნდივით დაყვებიან. ნაცტელევიზიებსა თუ ინტერნეტსამყაროში ხომ სააკაშვილის ხოტბა-დიდებას ბოლო არ უჩანს და კერპთაყვანისმცემლებს ბელადის პირიდან მედიუმის პლაქტონივით უხვად გადმოღვრილი დორბლიც, ალბათ, ღვთის წყალობად ეჩვენებათ.

კერპთაყვანისმცემლებს მიშმადიდებლობით არც სპეტაკწვეროსანი მეუფეები ჩამორჩნენ. მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა სააკაშვილი ლამის ქრისტეს შეადარა და მეორე მიტროპოლიტმა (ბერბიჭაშვილმა) ნიკოლოზი გაამართლა. მესამე (იოსები) მათ ტოლს არ უდებს და ამბობს: — „მოკრძალებით მივმართავ ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს: თქვენ დღეს ისე ახლოს ხართ ღმერთთან, როგორც არასდროსო!“ ჩანს, დღენიადაგ სიწმინდეებზე მოფიქრალ ამ მეუფეებს, ლუციფერის (სინათლის ანგელოზის) მოციქულებიც წმინდანებად, ახალ მესიებად ეჩვენებათ, მაგრამ გულსატკენი ისაა, რომ ცრუ წარმოსახვებით, მრევლსაც ალბათ ტვინს უმღვრევენ.

...ნაცსექტამ ბელადს დაბადების დღე გორის ჰოსპიტალთან ტრიუმფით, გამამხნევებელი შეძახილებით და გაჩირაღდნებული ბუშტებით მიულოცა. ის კი არა, მედპერსონალს მგონი, 54-სანთლიანი ტორტიც მიურთმევია. ერთადერთი, ვინც გორის ჰოსპიტალში სააკაშვილს უჩმახებდა, მაწანწალა ცუგა იყო. „როგორც კი ლაპარაკს ვიწყებდი, ეგრევე მახშობდაო!“ — სასამართლოში უჩივლა. იმ პროვოკატორ ტუღრიას გარდა, გორის ჰოსპიტალთან იყო სხვაც: სააკაშვილის პალატის ჩამოსწვრივ უცნაური შავი მანქანა იდგა. ცნობისმოყვარე ტურებივით კისერწაგრძელებულმა ნაცებმა გარშემო შიშნეულად ბევრი უარეს, მაგრამ „ქუდია თუ ბოხოხიასი“ არ იყოს, ვერაფერი გაუგეს. თუმცა, ყოფილა სხვა შემთხვევაც, ამჯერად კრიმინალური შინაარსის: სააკაშვილს საწოლში რვა შავტანსაცმლიანი არსება დასხმია თავს და ბეწვზეა გადარჩენილი, ერთს საათის წართმევაც უცდია. ხმები გამოდის, მიშას ზოგჯერ სიცოფე რომ მოუვლის, ყველაფერს ლეწავსო. მაგრამ სააკაშვილის ექიმები, მგონი, კუროსავას „რასიომონის“ პერსონაჟებს ბაძავენ: პაციენტის ჯანმრთელობაზე განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ავრცელებენ და საბოლოოდ ყველაფერი იქით მიყავთ, ავადმყოფობის საბაბით, სააკაშვილი როგორმე ქვეყნიდან გაიყვანონ და ფაქტობრივად გაათავისუფლონ. თავის მხრივ ნაცბელადიც მომხრეებს პირგამეხებული უბრძანებს: „ერთბაშად იხუვლეთ და მე და საქართველო გაგვათავისუფლეთო!..“

„პოლიხრონიონ!...პოლიხრონიონ!..“ ცხვრის ფარასავით ერთ ხმაში ბღავიან სისხლიანი ბომონის გარშემო შემოწყობილი კერპთაყვანისმცემლები და არ შეიძლება, ბელადომანიით დასნებოვნებული ეს ხალხი არ შეგეცოდოს. ძირითადად ეს ის მასაა, სააკაშვილი რომ პირდებოდა: „ოღონდ ახლაც ამირჩიეთ და ჭოპორტიდან ფეხს არ მოვიცვლიო!“ მიშამ იმ ხანებში ნაროდნიკობაც დაიწყო, შავ მუშადაც მოგვევლინა. მოხუც ქალებს „სიყვარულით“ გულში იხუტებდა, თავებზე კოცნიდა და მერე ზიზღით პირს ჩუმად იწმენდდა... „ჰოლივუდის ღიმილი“ უნდა გაჩუქოთო — საწყლებს რაც ჰქონდათ, ის კბილებიც დააძრობინა და ბოლოს უკბილოები დატოვა.

ჩვენი დროის ამ გაქნილი „ოსტაპ ბენდერისგან“ არც ის გამიკვირდება, გასული საუკუნის ბოლოს სტრასბურგში მისი გამოსვლის ვიდეოჩანაწერი (აქ რომ ფურორი მოახდინა!), მართლაც ევროსაბჭოს სხდომათა ცარიელ დარბაზში ამომრჩევლის მოსატყუებლად დადგმული თეატრალური



ალკოჰოლით და ნარკოტიკით გამოთაყვანებული მიშა პატრიარქის სავარძელში.
2012 წლის 17 აპრილი

წარმოდგენა ყოფილიყო. აქვე მისი განმუხრული „თავგანწირვაც“ გავიხსენოთ, ოკუპანტ რუს ჯარისკაცებს შიშველი ხელებით უშიშრად რომ მიეჭრა და უკან დაახევინა... აღმოჩნდა, რომ ისიც სპექტაკლი იყო და მასში მონაწილეობისთვის, ნაცების ფინანსურ დონორ კობა ნაყოფიას, სარდალ სერგეი ჩაბანისთვის მილიონიც მიურთმევია..

გამოხდა ხანი და ჩვენებურ „ოსტაპს“ უკრაინელებმაც აუღეს ალღო. „სააკაშვილი მსოფლიო დონის თაღლითიაო“ – მათი ქვეყნის იუსტიციის ყოფილი მინისტრი ამას ჰაერზე არ იტყოდა. ეს მართლაც იმისთანა შებერტყილია, არაა გამორიცხული, შიმშილობის თადარიგიც წინასწარ დაეჭირა. იმ მოხერხებული ბიჭივით „მამიდასაც ვნახავ და ცხენსაც გავხედნიო“ – შესაძლოა, ამანაც იფიქრა: წავალ საქართველოში. თუ რევოლუცია არ გამომივა, ჩავჯდები ციხეში, უვადო შიმშილობას ოპერაციის შემდგომ მსუბუქ სამკურნალო დიეტაზე გადავატარებ, ქვეყნისთვის თავგანწირული პოლიტპატიმრის სტატუსსაც გავირტყამ და ჩემ ამ ვაჟკაცურ ნაბიჯს ყველა დააფასებსო.

დაფასება რომელია, ქვეყანაში მიშმადიდებელთა „პოლიხრონიონის“ მეტი არაფერი ისმის!.. თუმცა, აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ სააკაშვილის ხოტბა იმ ქვეყანაში აღევლინება, ჯერაც რომ ვერ გამოსულა ნაცრეჟიმის რეპრესიული კოშმარების ტყვეობდან და სადღაც სამმილიონიან ქვეყანაში, ადამიანთა შემზარავი მსხვერპლი, ციფრებში მოქცეული მშრალი სტატისტიკით, ასე გამოიყურება:

**50000-მდე პატიმარი, აქედან 745 – მოკლული და ასეულობით წამებისგან დაინვალიდებული. 300 000 პრობაციონერი. პატიმართა პროცენტული რაოდენობით, საქართველოს მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველი ადგილი ეკავა, გამამართლებელი განაჩენი კი სულ 0,01% იყო. აქვე სააკაშვილის სიტყვებიც გავიხსენოთ: „ფეხბურთის მატჩის შედეგი უფრო მაღელვებს, ვიდრე ვინმეს უსამართლოდ დაპატიმრებაო“. მისმა ჯალათებმა ასევე ქუჩაში ჩაცხრილეს 151 ახალგაზრდა და სიცოცხლე მოუსწრაფეს უამრავ ცნობილ ადამიანსაც: გურამ შარაძეს, ბადრი პატარკაციშვილს, ზურაბ ჟვანიას, ადმირალ ირემაძეს, გენერალ კეკუას, თეთრაძეს, კრიალაშვილს... რომელი ერთი ჩამოვთვალო! სულხან მოლაშვილს კორუფციასთან ბრძოლა არ აპატიეს, ციხეში აწამეს, C ჰეპატიტით დააინფიცირეს და ისევე, როგორც კობა დავითაშვილი და გია მაისაშვილი, ნელი და მტანჯველი სიკვდილით მოუსავლეთის გზას გაუყენეს. გავიხსენოთ უდიდესი ხელოვანი მერაბ ბერძენიშვილიც, ვინც ჯერ მორალურად გაანადგურეს და ფიზიკურმა სიკვდილმაც არ დააყოვნა. რეჟიმის მსხვერპლთა მაღალი პროცენტული რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ ქვეყანაში სრულიად გამიზნულ ეთნიკურ წმენდას ჰქონდა ადგილი. – ნუთუ, მისმა მფარველებმა სააკაშვილი ამისთვის მოავლინეს?!**

ქვეყანაში, სადაც „ქართველი“ და „ქრისტიანი“ ოდითგანვე ერთ ცნებად მოიაზრებოდა, სააკაშვილმა რელიგიური სივრცე უცხო კონფესიების, სექტების კონგლომერატით გამიზნულად ააჭრელა და დედაეკლესიას მრევლი შეუმცირა. რუსეთიდან პუტინის ქოსმანი ღორი – კახა ბენდუქიძე შემოაგორა. ისიც მოდგა და ყველაფერი სწორედ სალაფავს მიძაგრებული ტახივით ამოაყირავა: ეკონომიკის წამყვანი სტრატეგიული ობიექტები რუსებს უფეშქაშა და მიწასთან გაასწორა სოფლის მეურნეობაც. 1500 პროფესიონალი მეცნიერ-მუშაკი სამსახურებიდან გაყარა, ხოლო ჩემ მშობლიურ „ალმა მატერში“ (სახელმწიფო უნივერსიტეტში) 22 ფაკულტეტიდან 6-ღა დატოვა... მოკლედ, თუ რამ ღირებული გაგვაჩნდა, ბენდუქამ იავარქმნა...

სააკაშვილმა ის არ გვაკმარა, ტერიტორიის 20%-ზე მეტი (მისი სიტყვებით „ქვების გროვა“) რუსებს რომ ჩააბარა, წინაპრების სისხლით გაპოხიერებული ბარაქიანი ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი არაბებს, ირანელებს, ინდოელებს, ჩინელებს და ა.შ. არაფრისმქონებელ ლუმპენპროლეტარებს გადასცა და როცა სასოწარკვეთილი კახელი გლეხები მათ კუთვნილ მიწაზე ინდოელის შეყვანილ ტრაქტორს წინ დაუწვნენ, პირდორბლიანი აჩხავლდა: – რატომ შეაჩერეთ ტრაქტორი? ზედ გადაუარეთო!.. მე თუ მკითხავთ, სააკაშვილს ექვსწლიანი პატიმრობა მხოლოდ ამ ფაშისტური ჰომოფობიური განცხადებისთვის ეკუთვნოდა. სააკაშვილის ბანდამ გამოხრა ქვეყნის ბიუჯეტიც. არნახულად ყვაოდა ელიტური კორუფცია. ასლან აბაშიძის დროს აჭარაში თურქის ჭაჭანება არ იყო. სააკაშვილმა ასლანი გააძევა და ვიდრე პრეზიდენტის პოსტს დატოვებდა, „მაოხრებელმა მკვდარმა“ ბოლო ბოროტმოქმედებაც მოასწრო: ათეულათასობით თურქს ქართული პასპორტები საახალწლო საჩუქრებივით ჩამოურიგა, რასაც მეჩეთების ინტენსიური მშენებლობაც მოჰყვა, რომელთა რაოდენობამ უკვე 311-ს მიაღწია.

მაგრამ სააკაშვილის სიყვარულით დაბრმავებულ ფანატიკოსთა ტვინებში მხოლოდ ერთადერთი სიტყვა „მიშაა“ ამოტვიფრული და ყველაფერ სხვას ირეკლავენ. ზოგი მათგანი რეჟიმს უდანაშაულო ახალგაზრდების უსასტიკეს მკვლელობებშიც კი ამართლებს: – ეს წესრიგის დასამყარებლად იყო საჭიროო!.. ინტერნეტმომხმარებელი თამაზ ჯინჭარაშვილიც ამიტომ შენიშნავს: სექტანტებმა რომ დაინახონ, მიშა კაცს ჭამს, გაამართლებენ – აბა, რა ექნა, შიოდაო!!..

ამჟამად სააკაშვილი ობობის ქსელში გაბმული ბუზივითაა, რაც მეტს ფაფხურობს, მეტადაც იხლართება, მაგრამ აქვე ვხედავთ მომდევნო საოცრებას: ამ წარმოუდგენელი დანაშაულების ავტორს, ბრალმდებელნიც დღემდე მხოლოდ რაღაც ჭინჭებ-ბოტოქსებსა და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო ედავებიან, რაზეც უკვე თავად სააკაშვილიც შაყირობს. ხალხს თვალებში ნაცარს გვაყრიან და კასრების განადგურებული კასეტებისა არ იყოს, მისი ავკაცობის დამადასტურებელ მნიშვნელოვან დოკუმენტებს, ეტყობა, კვლავაც სადღაც ჩურთავენ და აჩუმათებენ...

**(დასასრული იქნება)**

# რატომ აჭიანურებს დასავლეთ ევროპადა ამერიკა რუსეთის აგრესიის ჩახშობას უკრაინაში?!

**ნატო – 1949 წელს შექმნილი ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის შემოკლებითი დასახელებაა, რომელშიც თავდაპირველად გაწევრებული იყო 15 სახელმწიფო: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, კანადა, იტალია, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ირლანდია, თურქეთი, საბერძნეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. საფუძვლად დაედო ამ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების პაქტი, მთავარი მიზანი – მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება, სახელმწიფოებს შორის შეთანხმებულობა, ევროპის ქვეყნების გაერთიანების გაგრძელების ხელშეწყობა, ნატოს შემდგომი გაფართოება-განვითარება, მსოფლიოს ქვეყნების სტაბილიზაცია, ყველა ქვეყანაში რეფორმების მხარდაჭერა და გაეროში აქტიური, საპასუხისმგებლო მონაწილეობა!**

დაიცავდა თუ არა ნატოს წევრობა საქართველოს და უკრაინას რუსეთის აგრესიისგან! – კი! – რუსეთი 2008 წელს საქართველოსთან ომს არ დაიწყებდა და უკრაინასთან, 2022 წელს ფართომასშტაბიან აგრესიას ვერ გაბედავდა! პუტინმა იცის, რომ ნატოსთან ბრძოლას წააგებდა!

ისარგებლეს რა პუტინმა და მისმა ამალამ ნატოს მიერ საქართველოსთვის და უკრაინისთვის გაწევრებაზე წითელი შუქის ანთებით, დასავლეთ ევროპის უნიათობით, უუნარობით, უფხობით, სანქციების ნაბიჯ-ნაბიჯ დაწესებით, ნაცვლად სანქციების დიდი პორციების დაწესებისა, დაიწყო დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული გეგმის განხორციელება – საბჭოთა კავშირის აღდგენა! – წუთისოფლის ბორბლის უკან დაბრუნება!

პუტინი აშანტაჟებს, აშინებს ევროპას და ამერიკას მესამე მსოფლიო ომის დაწყებით, ბირთვული იარაღის გამოყენებით! იმის შიშით, რომ პუტინმა შეიძლება გამოიყენოს დასავლეთის წინააღმდეგ ატომური იარაღი, თუნდაც ყველაზე მცირე კალიბრის – იჩენენ მელანქოლიკობას და აჭიანურებენ რუსეთის აგრესიის ჩახშობას უკრაინაში!.. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“...

ნატოს გულგრილობას უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე ეწირება უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე, მათ შორის, არასრულწლოვნების!

როცა მოწინააღმდეგეთა შორის მოლაპარაკებებს შედეგი არ მოაქვს და ვერ ხერხდება კაპიტულაციაზე ხელის მოწერა, რატომ არ ერევა ნატო ამ კონფლიქტში? თუ ნატო ამა თუ იმ ქვეყანაში ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ აგზავნის მეომრებს, რატომ არ უნდა აღმართოს ხელი ტერორისტი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც ფართომასშტაბიანი ომი გააჩაღა უკრაინაში! რა! – საქართველო, უკრაინა და სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფორპოსტი – წინასაგუშაგოა? რა შემთხვევაში, ცენტრალური თუ დასავლეთ ევროპის რომელი სახელმწიფოს საზღვრის გადალახვის შემთხვევაში ჩაერევა ნატო ომში ტერორისტი სახელმწიფოს წინააღმდეგ?

ომი უკრაინაში მალევ მოულოდნელად დამთავრდება, პუტინს შავბნელი საქმეების განხორციელება არ დასცალდება – ჩადენილი მძიმე დანაშაულობის გამო ღმერთი გაწირავს, საერთაშორისო სასამართლოზე წარდგება, გამოტანილი განაჩენის შესაბამისად, მიქელ-გაბრიელი გამოეცხადება, საიქიოში გააქანებს და სატანა ჰიტლერის გვერდით მიუჩენს ადგილს! ევროპა და ამერიკა გადაურჩება დანგრევას, ხალხი – განადგურებას!

საქართველოს მთავრობა „ქართული ოცნების“ დეპუტატების მხარდაჭერით, არ უერთდება რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს – ლოიალობას, ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს და ამჯობინებს ნეიტრალობას,



რაც ფაქტობრივად, რუსეთის მხარეზე დგომის ტოლფასია და ქართველი ხალხის 20 პროცენტის შეხედულებისგან აშორებულია! ხელისუფლება ასევე ათვითცნობიერებს, რომ რუსეთის მარცხი მათი ხელისუფლებაში ყოფნის დასასრული იქნება!

**ოთარ შონია,**
**არქიტექტორი.**
**ტელ: 571 39 05 92, 239 05 92**

## უკრაინაში აფხაზეთიდან ჩასული რუსული ბაზის სამხედროების ნაწილი და ტექნიკა განადგურებულია!

**უკრაინაში აფხაზეთიდან ჩასული მე-7 რუსული ბაზის სამხედროების ნაწილი და ტექნიკა განადგურებულია**, – ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინელი ჟურნალისტი იური ბუტუსოვი ავრცელებს. მისივე ცნობით, ისინი ვინც შეტევას გადაურჩნენ, ტექნიკა ადგილზე მიატოვეს და გაიქცნენ. ცნობისთვის, 7 მარტს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან, იქ განთავსებული სამხედრო ბაზებიდან სატანკო ბატალიონების ეკიპაჟები რუსეთში გადაიყვანეს. რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის პრესსამსახურის ცნობით, სატანკო ეკიპაჟები სატანკო ბიათლონში მონაწილეობისთვის მოემზადებოდნენ და კონკურსის მონაწილეები იასპარეზებდნენ თანამედროვე T-72Ð3 ტანკებით: თუმცა ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ წვრთნა მხოლოდ მიზეზია და რუსული სამხედრო ბაზებიდან გაწვეული სატანკო ეკიპაჟების წევრებს უკრაინისკენ აგზავნიდნენ.

## ომის ფონზე რუსმა და აფხაზმა ქურდებმა დაზავება გადაწყვიტეს

**უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე რუსეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის დანაშაულებრივმა სამყაროებმა დაზავება გადაწყვიტეს. ამაზე აფხაზეთის დანაშაულებრივი კლანის ლიდერი მერაბ ჯანგველაძე რუსეთის დანაშაულებრივი სამყაროს თავკაც ზაქრო კალაშოვს შეუთანხმდა,** – იუწყება „Праим Краим“.

მისივე ინფორმაციით, დაზავების ინიციატორი კალაშოვი იყო, რომელმაც „კანონიერ ქურდებს“ 14-წლიანი განხეთქილების დასრულების წინადადებით მიმართა. გარდა ამისა, რუსეთის დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერი გამოვიდა ინიციატივით, გადაიხედოს კლანობის წევრობა იმ პირთა მიმართ, რომელთათვისაც „ქურდის“ სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება ცალმხრივად იყო მიღებული. მათ რიცხვში თავად კალაშოვის ნათესავებიც შედიან. გამოცემის ინფორმაციით, მარტში თურქეთში მხარეების კრიმინალური ავტორიტეტების შეხვედრების სერია გაიმართა ნეიტრალურ პირთა მონაწილეობით, რომელზეც „ბრალდებებისა და მოკითხვის გარეშე დაშლის“ გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

## „უკრაინელი ბავშვები ტრეფიკინგის საფრთხის წინაშე დგანან“

**ევროკომისარი მიგრაციის საკითხებში ილვა იოჰანსონი აცხადებს, რომ „უკრაინელი ბავშვები ტრეფიკინგის საფრთხის წინაშე დგანან“.**

მისი თქმით, ომის დაწყებიდან უკრაინა 5 მილიონმა ადამიანმა დატოვა, მათი დაახლოებით ნახევარი ბავშვი იყო. როგორც ევროკომისარი აცხადებს, ტრეფიკინგის საფრთხის წინაშე დგანან არა მარტო ის



ბავშვები, რომელთაც უკრაინა დატოვეს, არამედ ბავშვების გარკვეული კატეგორია, ვინც ამ დრომდე ქვეყანაში რჩება.

**„უკრაინაში დაობლებული და ასევე სუროგატი დედების მიერ დაბადებული ბავშვების დიდი რაოდენობაა, რომლებიც მშობლებმა ველარ აიყვანეს. ამ ბავშვების გატაცების ან იძულებითი გაშვილების რისკი არსებობს. არსებობს დაუცველი ბავშვების ტრეფიკინგის დიდი რისკი“,** – თქვა იოჰანსონმა და დასძინა, რომ ამ დრომდე ძალიან მცირე შემთხვევა დადასტურდა, როცა ბავშვს ევროკავშირის საზღვრის კვეთისას არავინ ახლდა.

**საქართველოს მთავრობის უარი დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციებში მონაწილეობაზე ერთადერთი სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. მხოლოდ ჩვენი სამშობლოს არაკეთილმოსურნეს, ჩვენი კულტურული და ტრადიციული ღირებულებების მოძულეს შეუძლია დღეს თქვას, რომ 100 ტ. ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნის შემდეგ საქართველოს უკრაინის მიმართ რაიმე სხვა მოვალეობა აკისრია. ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რომ დასავლეთის (აშშ, ევროკავშირი) მიერ ორგანიზებული ფერადი რევოლუციები, მათ შორის 2014 წლის უკრაინული „მაიდანიც“, არა მარტო დამორჩილებულ სახელმწიფოებზე გავლენის მოსაპოვებლად, არამედ ახალი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად ეწყობა.**

**დასავლეთმა უკვე ოფიციალურად დააყენა საზოგადოება არჩევანის წინაშე: ქრისტიანობა ან ლგბტ! სწორედ ამ გლობალურ პრობლემაზე უკრაინელი ჟურნალისტების პირით მოგითხრობთ, რამდენად დიდი განსაცდელის წინაშე დგანან არა მარტო უკრაინელი, არამედ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მართლმადიდებელი ქრისტიანები.**

თა და განსაკუთრებით კონსტიტუციებით აკრძალონ ნებისმიერი ნორმა, რომელიც საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრების ტრადიციულ ღირებულებებს იცავს; ხოლო უკვე არსებული ამგვარი სახის ყველა ნორმა უნდა გაუქმდეს.

ასამბლეა განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენს **უნგრეთის** ხელისუფლების მიმართ **(რეზ. პუნქტი 12.1)** და მოითხოვს, დაუყოვნებლივ გააუქმონ 2020-2021 წლებში მიღებული ზომები, „რომლებიც ბავშვებს ნებას არ რთავენ თავიანთი გენდერული იდენტურობის აღიარებისა, როცა იგი განსხვავდება იმ სქესისგან, რომლითაც ბავშვი დაიბადა; შვილად აყვანას უკრძალავს ყველას, გარდა ჰეტეროსექსუალური წყვილებისა; ყოველმხრივი სექსუალური სწავლა-განათლების ბლოკირებას ახდენს და ტრანსიდენტურ და ჰომოსექსუალურ გამოხატვებს კრძალავს“.

ექტებს, რომელნიც უარყოფენ **ლგბტ**-ადამიანების უფლებებს, დაფინანსების მიღებაზე უარი ეთქვათ, ხოლო ვისაც უკვე მიეცა დაფინანსება, უკან იქნას გამოთხოვილი“ (პუნქ. 16,5).

15425 რეზოლუციიდან ნაწილობრივ წარმოდგენილი პუნქტებითაც კარგად ჩანს, რომ ყველაფერი, რაც მასშია ჩაწერილი, თუ განხორციელდა, მაშინ ეს მომასწავებელი იქნება ქრისტიანობისგან განდგომისა, ცხოვრების ბიბლიური გაგებისა და იმ ძირითადი პრინციპების უარყოფისა, რომელზეც კაცობრიობის არსებობის ისტორია აქამდე ეფუძნებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი შვილები **ლგბტ**-პროპაგანდისტებს ხელებში ჩავუგდოთ, ხოლო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სოდომიის მხარდაჭერისა და სტიმულირების პროგრამები დავნერგოთ.

# გაუფთრებული ბრძოლა სინდისსა და უსინდისობას შორის...

## ევროსაბჭოს 15425 რეზოლუცია, უკრაინის კათოლიკური უნია (ერთობა) და მებრძოლი ლიბერალიზმის რეალური სახე



**ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე),**
ფილოსოფიის დოქტორი



კიევ-პეჩორის ლავრა

### თავი 1. ევროსაბჭოს რეზოლუცია

**უკრაინის „მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირმა“ (СПЖ) გამოაქვეყნა კირილე ალექსანდროვის ანალიტიკური წერილი: ПАСЕ при помощи Украины приняла программу укрепления лгбт: что нас ждет (07.02.2022), რომელშიც განხილულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2021 წლის 25 დეკემბერს მიღებული №15425 დოკუმენტი „ევროპაში ლგბტ-სადმი მზარდ სიძულვილთან ბრძოლის“ შესახებ. არსებითად, ეს არის პროგრამული დოკუმენტი ლგბტ-ს იდეოლოგიური დაწინაურების თაობაზე, რომელიც ევროპული სახელმწიფოებისთვის პირდაპირ ინსტრუქციებს შეიცავს.**

დოკუმენტს უმრავლესობასთან ერთად უკრაინის სამივე დელეგატმა მისცა ხმა, ხოლო კიდევ ორმა არაოფიციალურმა პირმა სიტყვიერად დაუჭირა მხარი. უკრაინელთა ამგვარი ერთსულოვნება გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ მათი ახლანდელი ხელისუფლება ევროპული ქვეყნების სოდომიის გამარჯვებისკენ აღებულ კურსს სრულიად იზიარებს.

**აქედან გამომდინარე, მკითხველს არ გაუჭირდება საქართველოს მთავრობის პოზიციის შედარება ევროპულ მოთხოვნებთან, განსაკუთრებით 2019 წლის თებერვლის მოვლენების შემდეგ, როცა „ქართულმა ოცნებამ“, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, საქართველოში გეი-პრაიდის ჩატარებაზე უარი ოფიციალურად განაცხადა. ნუთუ ამ ფაქტის გათვალისწინებით კიდევ შეიძლება დაისვას კითხვა: ვის და რატომ სძულს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ქვეყნის მმართველი პარტია?! ან იქნებ ჩვენს პატარა სახელმწიფოში, ევროპის დიდი ქვეყნებისგან განსხვავებით, ჰომოსექსუალური ქორწინებები და გენდერული იდეოლოგია აღიარებული რომ არ არის, ნაცების და მათი ბელადის დამსახურებაა?!**

ყველამ თავის სინდისთან აგოს პასუხი, ჩვენ კი, როგორც ევროსაბჭოში საპარლამენტო ასამბლეას უწოდებენ, „ევროპის დემოკრატიულ სინდისს“ მივუბრუნდეთ, და ცხადად დავინახოთ დეგრადაცია, რასაც თანამედროვე ევროპის მორალური კატეგორიები განიცდიან.

რეზოლუციის მეორე პუნქტში წერია, რომ უფრო მეტად **ლგბტ** ადამიანების სამოქალაქო უფლებებს არღვევენ და მათ მიმართ სიძულვილს აღვივებენ ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწეები, მთავრობის წარმომადგენლები და ასევე რელიგიური ლიდერები. საქმე ისაა, რომ რელიგიური ლიდერები აღნიშნულ საკითხებზე თავიანთი რელიგიების შესაბამის თვალსაზრისს გამოხატავენ. მაგალითად, **ლგბტ**-იდეოლოგია წმიდა წერილს ეწინააღმდეგება და ქრისტიანობისთვის ცოდვას წარმოადგენს. ევროპელები კი ველარ აცნობიერებენ, რომ სიძულვილი ცოდვისა ცოდვილის სიძულვილს არ ნიშნავს და არა ბიბლიური მცნებების არსებობაა მიზეზი ადამიანის უზნეობისა, არამედ ზნეობის დამცველ მცნებათა არარსებობის სურვილი, რომელიც ცოდვის მამხილებლისადმი სიძულვილით ჩნდება. ამიტომ დასავლეთს ყველაფერი იქითკენ მიჰყავს, რომ საზოგადოება დააყენოს არჩევანის წინაშე: ან წმიდა წერილი, ან **ლგბტ**-იდეოლოგია.

ასამბლეის ლოგიკიდან გამომდინარე, როცა სკოლებში მოზარდებს თავს ახვევენ გენდერულ იდეოლოგიას, როცა ფსიქოლოგები მათ ყმაწვილურ პრობლემებს იმით ხსნიან, რომ ისინი „თავიანთი სხეულით არ შობილან“, როცა არასრულწლოვნებს ქირურგიული ოპერაციებით უცვლიან სქესს — ეს ბავშვთა უფლებების დარღვევა არ არის! ხოლო, როცა ბავშვებს ოჯახის, ქორწინებისა და ზნეობის ბიბლიურ გაგებას უნერგავენ, ეს „წინასწარაკვიატებული ანტიგენდერული, გენდერულ-კრიტიკული და ანტიტრანს-ნარატივებია“.

რეზოლუცია ევროპულ სახელმწიფოებს მოუწოდებს, თავიანთი კანონმდებლობები-

უნგრული კანონები, რომელმაც ასეთი მშფოთვარე ისტერიკა გამოიწვია, სინამდვილეში **ლგბტ**-წარმომადგენლების უფლებებს სრულიადაც არ არღვევენ. ისინი მხოლოდ იცავენ ბავშვებსა და მოზარდებს **ლგბტ**-იდეოლოგიის პროპაგანდისგან.

**საპარლამენტო ასამბლეა კი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ლგბტ-პროპაგანდაზე, განსაკუთრებით ბავშვებს შორის, ყველა შეზღუდვა მოხსნან. რასაკვირველია, ეს სხვა არაფერია, გარდა ჩვენი შვილების გახრწნისაკენ პირდაპირი მოწოდებისა.**

რეზოლუციის მიხედვით, **ლგბტ**-ს წარმომადგენლები ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით კანონის წინაშე „განსაკუთრებული კასტის“ პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ. ამისთვის კი სახელმწიფოებმა საკანონმდებლო ბაზა უნდა შეცვალონ და გაატარონ შემდეგი მოთხოვნები: გენდერის იურიდიული აღიარება; ინტერსექს-ადამიანების ფიზიკური ხელშეუხებლობა; ჰომოსექსუალური „ოჯახების“ დაცვა; ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის შემოღება; აზრის გამოხატვის, ასოციაციებისა და შეკრებების (ანუ გეი-პარადების) თავისუფლება.

ევროპარლამენტართა აგრესიული იდეოლოგიის უკეთ გასააზრებლად ჯერ გავიხსენოთ ბოლო ჟამის ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი: „არავის ხელ-ეწიფებოდის სყიდად, ანუ განსყიდად, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მხეცისა მის, ანუ რიცხვი სახელისა მისისა“ **(გამც. 13,17).** ახლა კი გავეცნოთ ასამბლეის ბეჭდიან ბრძანებას: „ადგილობრივ, რეგიონულ ან ეროვნულ მთავრობებს ან სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო სუბი-

**ამიტომ ვისაც სურს, რომ თვითონ, მისი შვილები და შვილიშვილები ისეთივე ადამიანებად დარჩნენ, როგორც ისინი ღმერთმა შექმნა, ყველა მოვალეა, ჩვენი საზოგადოება თავზე მოხვეული ლგბტ-იდეოლოგიისგან დაიცვას. თავის მხრივ, უკრაინელი მართლმადიდებელი ჟურნალისტები იმედოვნებენ, რომ მიუხედავად ახალი ევროპული ღირებულებებისადმი მათი ხელისუფლების ერთგულებისა, უკრაინელ ხალხს თავისი სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამს და იგი საკუთარი მრავალსაუკუნოვანი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი პრინციპების დაცვასა და შთამომავლობისთვის გადაცემას აუცილებლად შეძლებს. ქართველმა მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ზემოთ წარმოდგენილ ინფორმაციას რუსულენოვანი მედიის არსებობის გარეშე ვერავისგან მიიღებდა, რომლის ჩახშობასაც დიდი მონდომებით ცდილობენ ადგილობრივი ნაცები და უკრაინაგამოვლილი ნაც-ჩინოვნიკები.**

### თავი 2. უკრაინის კათოლიკური უნია (ერთობა)

ამჟამად საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ატმოსფერო ძირითადად უკრაინისადმი მხარდამჭერი პათოსით არის გაჟღენთილი, რომელიც თავის სივრცეს მნიშვნელოვანწილად, ჩვენთვის

კარგად ცნობილი ცრუ დასავლური იდეოლოგიით, რუსოფობიით ავსებს. რომ არა რუსოფობიის ფაქტორი, პრეზიდენტ ვ.ზელენსკის ამორალური კლიპების ნახვისა და მისი ქვეყნის მიერ სამშობლოდან გაქცეული ნაც-ელიტის შეფარების გამო, საქართველოში ნაცების გარდა უკრაინისთვის თავს არავინ გამოიდებდა.

მრავალჯერ ახსნილი და დასაბუთებული ფაქტების გათვალისწინებით, ქრისტიანი ადამიანი, თუ იგი ლიბერალური მედიის ტყვეობაში არ არის მოქცეული, როგორ ვერ უნდა აცნობიერებდეს, რომ დასავლური პოლიტიკის სტრატეგიულ იარაღს – რუსთა სიძულვილს ანუ რუსოფობიას – რეალურად მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ იყენებენ, რომლის სიძულვილი დასავლეთს 1054 წლიდან მოდგამს.

**ჭეშმარიტების მტრობა მეორედ მოსვლამდე არ დასრულდება. უნდა გვახსოვდეს, რომ თურქების მიერ XV ს-ში ბიზანტიის დაპყრობამდე, მართლმადიდებლურ იმპერიას ძირი კათოლიკების მიერ ორგანიზებულმა ჯვაროსანთა ლაშქრობებმა გამოუთხარეს. ევროპელთა პოლიტიკური იდეა განსაკუთრებით გამოიკვეთა სისასტიკით ცნობილი IV ლაშქრობის დროს, რომელიც 1204 წელს კონსტანტინეპოლის აღებით, იმპერიის გაყოფითა და ბიზანტიურ ოლქებში ლათინთა სამთავროების დაარსებით აღინიშნა.**

შემონახულია პაპი ინოკენტი III-ის წერილი რუსეთის სამღვდელოებისადმი, რომელიც კონსტანტინეპოლის დაპყრობისთანავე არის დაწერილი. მასში მართლმადიდებლურ აღმოსავლეთთან დაკავშირებით გამოხატულია პაპის სანუკვარი გეგმის განხორციელების სურვილი, რომ ბიზანტიის იმპერიის რომისადმი დაქვემდებარებას ასევე მთელი რუსეთის კათოლიკობაზე მოქცევაც უნდა მოჰყვეს.

საეკლესიო ისტორიოგრაფიას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მიზეზები, რომელიც აღმოსავლეთისადმი დასავლეთის განწყობას ქმნის: „ძირეული მიზეზი რუსეთსა და დასავლეთს შორის მრავალსაუკუნოვანი გაყოფისა და წინააღმდეგობისა განპირობებულია **მართლმადიდებლობით,** რასაც კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით ბიზანტიური მემკვიდრეობა შეიძლება ვუწოდოთ. ამ კონტექსტით დასავლური **რუსოფობია** არის ბუნებრივი გაგრძელება დასავლური ბიზანტიოფობიისა“ (დეკ. ვლადისლავ ციპინი).

კათოლიკურ დასავლეთს მართლმადიდებელთა დასამორჩილებლად ბრძოლა არასდროს შეუწყვეტია. ერთ-ერთი ღონისძიება ცნობილია უნიის (ლათ. „ერთობა“) სახელით, როცა ორი აღმსარებლობა ფორმალურად ისე შეერწყმის ერთმანეთს, რომ მართლმადიდებლური საღმრთისმსახურო წესები შენარჩუნებულია, მაგრამ პაპის მეთაურობასა და კათოლიკურ ცრუ დოგმატებს ყველა წევრი უნდა აღიარებდეს. კათოლიკებს სხვადასხვა დროს ჰქონდათ ლიონის, ფლორენციისა და ბრესტის მასშტაბურ უნიათა განხორციელების წარუმატებელი მცდელობანი, მაგრამ ამ ეტაპზე უკრაინის გაკათოლიკების მიზანმიმართული გეგმა უკვე შესრულების ფაზაში შევიდა.

ზემოთ ნახსენები უკრაინის მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი გვამცნობს (К. Шемлюк, 18.02.2022), რომ მიმდინარე წლის 9 თებერვალს სოციალური ქსელით გამოქვეყნდა პროექტი **კონკორდატისა** (შეთანხმება) უკრაინისა და ვატიკანის სახელმწიფოებს შორის, რომელმაც უკრაინაში კათოლიკეთა სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირება უნდა მოახდინოს. ვლ. ზელენსკი პრეზიდენტად გახდომის შემდეგ (2019), წინასაარჩევნო დაპირებისამებრ, კარგა ხანს საეკლესიო საკითხებში არ ერეოდა. მაგრამ მან თანდათან როგორც ფანართან, ისე ვატიკანთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა.

კონკორდატის პროექტში პრეფერენციები, რომელთაც უკრაინელი კათოლიკები და უნიატები მიიღებენ, საკმაოდ მკაფიოდ არის გაწერილი: ა) კათოლიკური ეკლესიის საკულტო ნაგებობებს რესტავრაცია საბიუჯეტო სახსრებით უნდა ჩაუტარდეს. უკრაინის იმავე ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს კათოლიკური სასწავლო დაწესებულებანი. მაშინ, როცა უკრაინის ახლანდელი კანონმდებლობით, სახელმწიფო არც ერთ რელიგიურ ორგანიზაციას არ აფინანსებს; ბ) ქორწინების მოწმობა, რომელსაც კათოლიკური ეკლესია გასცემს, საერო მოწმობას გაუთანაბრდება. ამგვარ პრივილეგიას სხვა კონფესიები მოკლებულია; გ) საკაპელანო საქმიანობას უკრაინის ტერიტორიაზე აღასრულებს სამხედრო ეპისკოპოსი, რომელსაც წმინდა საყდარი დაამტკიცებს; დ) სახელმწიფო უნიატებს და კათოლიკებს დაუბრუნებს მთელ ქონებას, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიერ იქნა ჩამორთმეული.

**აღსანიშნავია, რომ უკრაინას კანონი რესტიტუციაზე ჯერ მიღებული არ აქვს, ხოლო უნიატები თავიანთ სრულიად დაუსაბუთებელ პრეტენზიებს უკვე აცხადებენ დასავლეთ უკრაინის უდიდეს მართლმადიდებლურ მონასტერზე – პოჩაევის მიძინების ლავრაზე, რომელიც კიევის მღვიმის (პეჩერის) ლავრის შემდეგ უკრაინის სიდიდით მეორე სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენს. ამასთან, პრობლემას ისიც ზრდის, რომ დასავლეთ უკრაინაში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კათოლიკეა.**

**ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გააძლიერებს კონკორდატი კათოლიკეთა (უნიატთა) პოზიციებს მართლმადიდებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა ეს ჩვენს საზოგადოებას ნაკლებად აღელვებს; ისევე როგორც, ჩვენ არცერთი გაერთიანება ან პარტია არ გვინახავს უკრაინელ მართლმადიდებელთა მდგომარეობით აღშფოთებული, როცა მათ რამდენიმე წლის წინ სქიზმატიკოსები საკუთარი ტაძრებიდან ერეკებოდნენ! ახლა კი ყველა „გმირ უკრაინელ ხალხს“ უთანაგრძნობს – ნაცებიცა და ნაცმაცუნებიც!**

## თავი 3. რუსეთი მებრძოლი ლიბერალიზმის წინააღმდეგ

დასავლური გაგებით, ლიბერალიზმი თავისუფალ აზროვნებას ნიშნავს, მაგრამ ამ ტერმინის არაერთმნიშვნელოვანმა დეფინიციამ დიდი ხანია რეაქციული იდეოლოგიის მნიშვნელობა შეიძინა და, ლექსიკოლოგიური განმარტებით თუ ვიტყვით, ლიბერალიზმი „უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობას, მავნე შემწყნარებლობას“ გაუიგივდა. ევროპული დემოკრატია სწორედ ამ აღვირახსნილ თავისუფლებას ახვევს თავს დანარჩენ მსოფლიოს და სიტყვის თავისუფლების, ადამიანთა უფლებების და დასავლური ღირებულებების დაცვით განუკითხაობის სინდრომს ნერგავს.

ამგვარად დანერგილმა დემოკრატიამ მედიას ზნეობრივი პასუხისმგებლობა საერთოდ მოუხსნა, გამოსწორების ნაცვლად გარყვნილებას აფიშირებისა და პროპაგანდის გზა გაუხსნა, ხოლო ტრადიციასა და ჭეშმარიტ სარწმუნოებას ბრძოლა გამოუცხადა. ლიბერალური იდეებით შეპყრობილი პოლიტიკოსები, ექსპერტები და ჟურნალისტები კი, მათ შორის ცალკეული ქართველი მღვდელმთავრები, ერთიანი ფრონტით გამოდიან რუსეთის წინააღმდეგ; მაშინ, როცა ქრისტიანულ სამყაროში ერთადერთი ძლევამოსილი სახელმწიფო სწორედ რუსეთის ფედერაციაა, რომელიც სულის წარმწყმედელ **ლგბტ**-ს აგრესიულ იდეოლოგიას, პრინციპულად თუ გავაანალიზებთ, ამჯერად იარაღის ძალით იგერიებს.

**144-მილიონიან ქვეყანას, რომლის მოსახლეობის 70% თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, როგორ შეიძლება, რომ მართლმადიდებელმა (იერარქიულ ხარისხზე აღარაფერს ვამბობ) ბოროტების იმპერია უწოდოს და მისი პრეზიდენტი და პატრიარქი ეშმაკეულ საქმიანობაში საქვეყნოდ დაადანაშაულოს! ცრუმოძღვარნო, გონებას კარი გაუღეთ და სინამდვილის აღქმის საშუალება მიეცით: 24 თებერვალს, სამხედრო ოპერაციის დაწყების წინ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გარკვევით განაცხადა, რომ რვაწლიანი ლოდინის მიუხედავად, ნატომ რუსეთის საზღვრებისკენ გაფართოება არ შეანელა; ამიტომ რუსეთი მოსკოვისკენ მიშვერილი რაკეტების გარემოცვაში არ აპირებს 1941 წლის შეცდომის გამეორებას, როცა დაყოვნების პოზიციაში მყოფ საბჭოთა კავშირს ფაშისტური გერმანია გაუფრთხილებლად დაესხა თავს და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

ვიცით, რომ ზოგი თანამოქალაქე სამხედრო ტერმინოლოგიაზეც მწვავედ რეაგირებს. ამიტომ მხოლოდ ფაქტების კონსტატირებით შემოვიფარგლებით. რუსეთი რომ არა სპეციალურ სამხედრო **ოპერაციას,** არამედ **ომს** აწარმოებდეს, უკრაინა რამდენიმე დღეში აღგვილი იქნებოდა პირისაგან მიწისა. რუსეთის მიზანია ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების დაცვა, რომელთა მოსახლეობა „რვა წლის განმავლობაში კიევის რეჟიმის მხრიდან შეურაცხყოფასა და გენოციდს განიცდიდა“; მის გეგმაში არ შედის უკრაინის ოკუპაცია, იგი უკრაინის დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის მისაღწევად მხოლოდ მის სამხედრო ინფრასტრუქტურას ანადგურებს. ნარინჯისფერი რევოლუციისა და „მაიდანის“ შედეგად სათავეში მოსული ლიბერალ-დემოკრატები სხვაგვარად არ დაცხრნენ. ისინი **ნატოს** მიმართ გადაჭარბებულმა ნდობამ აცდუნა და ახლა თავიანთი ცოდვების ნაყოფს იმკიან.

უკრაინის განდიდებითა და ცრუ პატრიოტული იდეებით ყელყელაობა სიკეთეს არ მოგვიტანს. ქადაგებისას (13.03.2022) მეუფე სპირიდონმა (აბულაძე) სწორად აღნიშნა, რომ რუსები და უკრაინელები ეთნიკურად ერთი ხალხია და მათ შორის არავინ არ უნდა ჩაერიოს.

დასავლელი პოლიტიკოსები, ისევე როგორც კონსტანტინეპოლის პატრიარქი **ბართლომეოსი,** უკრაინის მხარდაჭერით მშვიდობის ჩამოგდებას ხელს ვერ შეუწყობენ. პირიქით, რუსოფობიური გამოხტომებით კონფლიქტი უფრო მწვავდება და საერთაშორისო ურთიერთობებიც მეტად იძაბება.

* * *

**„უკრაინის ავტოკეფალია“** ჩვენი მედიის ერთ-ერთი სპეკულაციური თემაა და ამიტომ მოკლედ მასაც შევეხებით. პუბლიცისტური წერილების საშუალებით ჩვენ ეს თემა არაერთხელ მიმოვიხილეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მათი ანოტირება მაინც აუცილებელია. ჩვეულებრივ, კითხვას ასე სვამენ: უჭერთ თუ არა მხარს უკრაინის ავტოკეფალიას? – ამ არაკორექტულად დასმული შეკითხვის მიზანიც, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსოფობიის გაღვივებაა, რადგან ცრუ ან უვიცი რესპონდენტი, როგორც წესი, რიხიანად პასუხობს: დიდ და გმირ უკრაინელ ხალხს, რა თქმა უნდა, ეკუთვნის ავტოკეფალია, რომელსაც რუსეთის ეკლესია ეწინააღმდეგება!

გასაკიცხი არა რთულ საეკლესიო საკითხებში გაურკვევლობა, არამედ ეკლესიის სახელით სიძულვილის დათესვის მცდელობაა; იმ დედა ეკლესიისა, რომლის თავი თვით უფალი იესო ქრისტეა და რომელიც ერთია ყველა რუსი, უკრაინელი, ქართველი და სხვა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის! სწორედ ამ ერთობის დასარღვევად იღვწის მთელი ანტიქრისტიანული სამყარო, მაგრამ მან ვერაფრით ვერ ისწავლა საღმრთო განგებულების უცვლელი წესი, რომ ქრისტიანთა დაღვრილი სისხლი მათსავე ეკლესიას განამტკიცებს. რაც შეეხება უკრაინის საკითხს, მასზე უკვე მრავალი ნარკვევი და მონოგრაფია დაიწერა. ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ ამჟამად მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებული კრიზისი 2019 წლის 6 იანვარს პატრ. ბართლომეოსის მიერ უკრაინელი „რასკოლნიკებისთვის“, ანუ იგივე განხეთქილთა და სქიზმატიკოსებისთვის, ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ტომოსის გადაცემამ გამოიწვია.

საქმე ისაა, რომ უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში შედის, ავტოკეფალია არასდროს მოუთხოვია. ამიტომ დაკონკრეტების გარეშე აღნიშნული შეკითხვის დასმა თავის თავშივე შეიცავს ცდომილებას, რადგან როგორც აღვნიშნეთ, „უკრაინის ავტოკეფალია“ მხოლოდ არაკანონიკური ქმედების შედეგია და მასში განხეთქილთა ერთი ჯგუფის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა იგულისხმება.

რაც მთავარია, ფანარის არაკანონიკური გეგმა უკრაინის ხელისუფლების მხარდაჭერით, ანუ ამერიკული ინსტრუქციებით, განხორციელდა და იგი მართლმადიდებელი ეკლესიის დევნასა და შევიწროებას გეგმაზომიერად აგრძელებს. მგონია, დასაფიქრებლად საკმარისი მასალა წარმოვადგინეთ, რათა მეტი სერიოზულობით მოვეკიდოთ გლობალურ საკითხებზე აზრის გამოხატვას და ჩვენი ამბიციებით სამშობლოს საფრთხე არ შევუქმნათ. ისე, როგორც თვითმხილველი ახლო წარსულისა, ფაქტების გათვალისწინებით შეგახსენებთ, რომ მყვირალა პატრიოტები განსაცდელის დროს ქვეყნიდან გარბიან. თუმცა გასაკვირიც არ არის; როცა დასავლელ პატრონთა სასიამოვნოდ მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის გადიდებულ სურათს მოედანზე გაშლი და ფეხით გათელავ, მისი ტანკისტები კანფეტებს მოგართმევენ?!

**თბილისი, 7-15.03.2022.**



## 110 უკრაინელი ბავშვი თბილისში ისწავლის...

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი თბილისის 98-ე საჯარო სკოლას ეწვია, სადაც უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული რამდენიმე მოსწავლე უკვე ჩაირიცხა.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო და კერძო სკოლებში ინტენსიურ რეჟიმში უზრუნველყოფს უკრაინიდან ჩამოსული ბავშვების გამარტივებული წესით ჩარიცხვას. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, თბილისსა და რეგიონებში, სკოლებში ჩარიცხვის სურვილი სხვადასხვა ასაკის 110 მოსწავლის მშობელმა გამოთქვა, მათგან 58 უკვე ჩარიცხულია, 52 კი უმოკლეს ვადაში ჩაირიცხება.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, უკრაინიდან ჩამოსულ ბავშვებს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას უწევენ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისთანავე, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრს ათობით დაინტერესებულმა პირმა მიმართა. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სკოლის მოსწავლეები, რომლებიც უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად ვერ აგრძელებენ ზოგადი განათლების მიღებას უკრაინის სკოლებში და გამოხატავენ სურვილს, სწავლა გააგრძელონ საქართველოში, სკოლებში გამარტივებული წესით ჩაირიცხებიან. საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ სასურველ სკოლას.




## რუსები ბავშვებზე ნადირობენ

**„ხარკოვის რაიონში რუსულმა ტანკმა ესროლა ავტომობილს, რომელშიც იმყოფებოდა ოჯახი ორ ბავშვთან ერთად. ოჯახი ამბობდა, რომ სამოქალაქო პირები იყვნენ და თეთრ დროშას აფრიალებდნენ, მაგრამ ამაოდ. მშობლები და ცხრა წლის გოგონა დაიღუპნენ, 17 წლის ბიჭი დაშავდა“,** – ნათქვამია გენერალური პროკურორის ოფისის განცხადებაში. პროკურორის ოფისის მონაცემებით, ნიკოლაევის რაიონში დაბომბვების შედეგად დანგრეულია საცხოვრებელი სახლები, საიდანაც მაშველებმა სამი ადამიანის ცხედარი ამოიყვანეს, მათ შორის შვიდი წლის ბავშვის.

პროკურორის ოფისის ინფორმაციით, 22 მარტის მდგომარეობით, რუსეთის აგრესიის გამო, უკრაინაში სულ დაღუპულია 117 ბავშვი და დაშავებულია 155. მათივე ცნობით, რუსეთის მიერ განხორციელებული დაბომბვების შედეგად დაზიანებულია 548 სასწავლო დაწესებულება, რომელთაგან 72 სრულად არის განადგურებული.

# სადამ ჰუსეინიდან პუტინამდე... თურქეთ-ირანის გავლით!..



**მართალია, რუსეთ-უკრაინის ომი ფიზიკურად არ გასცდენია უკრაინის საზღვრებს, მაგრამ მისი შედეგები მთელ მსოფლიოს მოედო დღეს, არაფერი აღარაა დედამიწის ზურგზე ისე, როგორც ამ რამდენიმე კვირის წინ იყო. ყველაფერი იცვლება, ჩვენი პირადი ცხოვრებით დაწყებული, მსოფლიო წესრიგით დამთავრებული. მარტო ის ამბავი გეყოფა კაცს დასაფიქრებლად, რომ ნედლი ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე მკვეთრად დაეცა, ბენზინის ღირებულება კი, მკვეთრად გაიზარდა.**

აი, ასეთი პარადოქსებით გაივსო სამყარო. რაც პანდემიამ დაგვაკლო, ახლა ეს ომი გვიშვება: დაიწყო თავბრუდამხვევი გეოპოლიტიკური რყევები; მიდის ქვეყნებს შორის ურთიერთობათა გამალებული გადასინჯვა; რუსეთზე დაწესებული დასავლური სანქციები გლობალურ ეკონომიკურ ძვრებს იწვევს. ქვეყნების უმრავლესობას რუსეთისგან თავი შორს უჭირავს, თუმცა, ისიც კარგად იციან, რომ რუსეთის წასაქცევად გათვლილი სანქციები მათაც დააზარალებს! რუსეთს ეგონა, ჩინეთთან, ვენესუელასთან და ირანთან ერთად მძლავრ და სწრაფად მოქმედ ანტიდასავლურ კოალიციას შექმნიდა, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა.

ეს ქვეყნები დასავლეთის ბანაკში არ გადასულან, მაგრამ არც რუსეთის მხარეს არიან უსიტყვოდ და მთლიანად. ჯერჯერობით, მაინც, თავის შეკავებას ამჯობინებენ. მათ, მართალია, სისხლისმღვრელი კონფლიქტის გაღვივებაში დასავლეთი დაადანაშაულეს, მაგრამ არც რუსეთს აკლებენ კრიტიკას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, ომის პროვოცირებისა და არშეჩერების გამო. ირანი უკვე, კარგა ხანია, ეზიდება დასავლური სანქციების სიმძიმეს ბირთვული პროგრამის დაჟინებით გაგრძელების გამო. ახლა, თითქოს, სინათლეს მოჰკრა თვალი სპარსეთმა გვირაბის ბოლოს, დასავლეთი სანქციების მოხსნას დაპირდა, თუ შესაბამისად მოიქცევა ომთან დაკავშირებით. ამ დროს, ვენის ბირთვული მოლაპარაკებებში, რუსეთი, როგორც წესი, ირანის მხარეს იყო ხოლმე, როგორც ძველ და ნაცად პარტნიორს შეეფერებოდა. მათ თითქმის ყველა საერთაშორისო საკითხში თანხმობა ჰქონდათ.

ახლა კი, ამ აწყობილ თანამშრომლობას ბზარი გაუჩნდა. ერთი, რომ ირანი, უკმაყოფილო დარჩა ყარაბახის ომის შედეგებით, რადგან რეგიონში თურქეთის პოზიციები გამაგრდა; მეორე, რუსეთმა ხელ-ფეხი გაუხსნა ისრაელის ავიაციას სირიაში, რომელიც პროირანულ დაჯგუფებებს ბომბავდა. რუსეთი შიშობს, რომ საგრძნობლად დაზარალდება თუ სანქციებისგან გათავისუფლებული ირანი ნავთობს დიდი რაოდენობით გაიტანს მსოფლიო ბაზარზე. ზუსტად ამიტომ ვხედავთ გააქტიურებულ დიპლომატიურ ვოიაჟებს: ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერ რუსეთს ეწვია, მერე, ვენაში შეხვდა ამერიკის დელეგაციას. ბაიდენის ადმინისტრაციამაც მოუხშირა დიპლომატიურ ვიზიტებს. ნიშანდობლივი იყო ამერიკის დიპლომატების შეხვედრა ვენესუელის პრეზიდენტთან. შეგახსენებთ, რომ ამერიკა არ ცნობს ვენესუელის მთავრობას ლეგიტიმურად, და მისთვის სანქციები აქვს დაწესებული.

ახლა კი, ამერიკული დიპლომატია ცდილობს, ვენესუელა თავის ბანაკში გადმოიბიროს...

იგი ცდილობდა ამ ქვეყნების მეთაურები ანტირუსულ ბანაკში გადმოსულიყო. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა და საუდის არაბეთის პრინცმა ხელი მოაწერეს სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებას. დასავლეთის მიზანია რუსეთის ეკონომიკა იზოლაციაში მოაქციოს, მაშინ როდესაც რუსეთს ჯერ კიდევ გვარიანად უმაგრებს ზურგს მისი გიგანტური ბუნებრივი ენერგორესურსები. დასავლეთი ცდილობს მთლიანად თქვას უარი რუსეთთან ამ დარგში თანამშრომლობაზე და სხვა ქვეყნების ენერგორესურსებით დააკმაყოფილოს მისი ბაზარი. სწორედ ამიტომ სჭირდება ისეთი ქვეყნების სოლიდარობა, როგორც არის ირანი, ვენესუელა და სპარსეთი ყურის ქვეყნები. ვნახოთ, რა მოხდება!

* * *

**რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, თურქეთი, როგორც სახელწიფო, მსოფლიო დიპლომატიის ცენტრობაზე, ხოლო პრეზიდენტი ერდოღანი, რეგიონის ლიდერობაზე აცხადებს პრეტენზიას. ამის დასტურია ლავროვისა და კულებას შეხვედრა ანტალიაში, რომელიც ანკარის, უფრო კონკრეტულად კი, პრეზიდენტ ერდოღანის ინიციატივით შედგა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩაუშოღლუ ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს: მსოფლიოში ძალიან ცოტა ქვეყანაა, რომელსაც უკრაინა და რუსეთი მოლაპარაკების მაგიდასთან შეუძლია მიიყვანოს. როგორც ხედავთ, თურქეთს აღმოაჩნდათ ასეთი ძალებიო.**

თავად პრეზიდენტმა კი, ასე შეაფასა რუსეთისა და უკრაინის საგარეო უწყებათა შორის შეხვედრის შედეგები: ანკარა განაგრძობს ძალისხმევას, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის პოლიტიკურ გადაწყვეტილება შედგეს. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია შუამავლის როლი. თურქეთს აქვს მოლაპარაკების შესაძლებლობა ორივე მხარესთან, და ის რეგიონში მშვიდობის დამყარებას შეეცდება. ჭეშმარიტად ძლიერი და საკუთარ ძალებში დარწმუნებული ლიდერის სიტყვებია! ანტალიაში თურქეთის მიერ გახსნილი კონფიდენციალური არხის წყალობით, რუსეთისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებს შესაძლებლობა მიეცათ, ერთმანეთთან პირდაპირ ესაუბრათო, განაგრძო ერდოღანმა და დაასკვნა, რომ ასეთი შეხვედრის ორგანიზება, თავისთავად, დიპლომატიის გამარჯვებაა. ნამდვილად ვერ გაამტყუნებ!

ის, რომ თურქეთი რეგიონულ ლიდერად ჩამოყალიბდა, მიუხედავად ეკონომიკური მართვის ერთგვარი ჩავარდნილობისა, და ქვეყანა ანგარიშგასაწევ საერთაშორისო მოთამაშედ იქცა, პრეზიდენტ ერდოღანის, მისი მტკიცე ხასიათისა და მრავალმხრივ გააზრებული პოლიტიკის დამსახურებაა. ალბათ, გახსოვთ, რომ ამ ბოლო წლებში თურქეთს ურთიერთობა თითქმის ყველა ძლიერ გეოპოლიტიკურ მოთამაშესთან დაეძაბა, მათ შორის, ამერიკასთან. ამერიკასთან დაპირისპირების მიზეზი ის იყო, რომ თურქეთმა ამერიკული სარაკეტო სისტემის პატრიოტის შეძენას რუსეთის სარაკეტო დანადგარების შ-400-ის შესყიდვა ამჯობინა, მიუხედავად ამერიკის მუქარისა, რომ თურქეთს მკაცრი სანქციები ელოდა ამ ორნახევარ მილიარდიანი სამხედრო შენაძენის გამო.

უკრაინაში კონფლიქტამდეც თურქეთს და რუსეთს ბევრი განსხვავებული პოლიტიკური ხედვა ჰქონდათ. ყველა რეგიონულ კონფლიქტში თურქეთი და რუსეთი მოწინააღმდეგები იყვნენ, მაგალითად, სირიაში, ლიბიაში და აზერბაიჯანში. დღესაც, თურქეთის მთავრობა ყველა შეხვედრაზე მხარს უჭერს უკრაინის მთლიანობას. თურქეთის პრეზიდენტი ღიად არ სცნობს რუსეთის იურისდიქციას ყირიმზე, მაშინ როდესაც, რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ ნახევარკუნძულის სტატუსის საკითხი დახურულია. თურქეთი დღემდე აწვდის უკრაინას უპილოტო საბრძოლო საფრენ აპარატ ბაირაქტარს.



მისი მეშვეობით უკრაინის სამხედრო ძალებმა რუსეთის უამრავი სამხედრო ობიექტი გაანადგურეს. ერდოღანი ხშირად აღნიშნავს: ნატოს სხვა ქვეყნებიც სამხედრო ტექნიკით ჩვენსავით დროულად რომ დახმარებოდნენ, უკრაინა სულ სხვა მდგომარეობაში იქნებოდაო დღეს. მეორე მხრივ, ის ასევე თანმიმდევრულია მოსკოვისთვის მიუღებელი იდეების გატარებაში. თურქეთის მთავრობა რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის სანქციებს არ უერთდება. დიდი ხანია, რუსეთი და თურქეთი ეკონომიკურ საკითხებში კარგი პარტნიორები არიან. თურქეთი რუსეთისგან ნავთობს, ხორბალს და ბუნებრივ აირს ყიდულობს. ატომურ ენერგეტიკაშიც ორივე ქვეყანა მჭიდროდ თანამშრომლობს. გეგმის მიხედვით, რუსეთმა თურქეთს ორი ატომური ელექტროსადგური უნდა აუშენოს. ასევე, თურქული ტურიზმის 40 პროცენტი რუს ტურისტებზე მოდის.

ეს კი მილიონობით დოლარია. აქედან გამომდინარე, თურქეთი, თავისი მხრივ, რუსეთისთვის სანქციების დაწესების კატეგორიულ უარზეა. 14 მარტს, ანკარას ოფიციალური ვიზიტით გერმანიის ბუნდეს-კანცლერი შოლცი ეწვია. ერდოღანმა და შოლცმა, რა თქმა უნდა, უკრაინის კრიზისი განიხილეს, მაგრამ საუბრის მთავარი თემა მაინც ბუნებრივი აირის საკითხი იყო. ევროკავშირმა გადაწყვიტა, ნელ-ნელა უარი თქვას რუსულ გაზზე. როგორც ევროკავშირის ლიდერმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, 2023 წლისთვის ევროკავშირმა რუსეთისგან გაზის შესყიდვა უნდა შეწყვიტოს. აქედან გამომდინარე, ევროპის ქვეყნები ალტერნატიულ გზებს ეძებენ. გაზის მიწოდების ერთ-ერთი განსხვავებული გზა კი, ტრანს-ადრიატიკული მილსადენია.

ეს მილსადენი ორი მონაკვეთისგან შედგება: ტრანს-ანატოლიური მილსადენი, რომლითაც აზერბაიჯანის აირი თურქეთს საქართველოს გავლით მიეწოდება და მეორე მილსადენი, რომელიც ტრანს-ანატოლიურ მილსადენს უერთდება, და თურქეთის გავლით, აზერბაიჯანულ აირს ევროპას მიაწოდებს. აზერბაიჯანმა უკვე განაცხადა, რომ ის გაზრდის ბუნებრივი აირის მიწოდებას ამ მილსადენით. დასავლეთის ბევრი ქვეყანა კარგი თვალით უყურებს უკრაინის მიმართ თურქეთის ასეთ სასიკეთო გააქტიურებას. უფრო მეტიც, აღმოსავლეთ ევროპაში უკვე გაისმის ხმები, რომ თურქეთის როლი უკრაინის საკითხში უფრო დიდია, ვიდრე ნატოს სხვა წევრი ქვეყნების.

* * *

**მოვლენა, რომელსაც ახლა შეგახსენებთ, მსოფლიოს უახლეს ისტორიაში ორი კოდური სახელით შევიდა: უდაბნოს ფარი და უდაბნოს შტორმი. ლაპარაკია სპარსეთის ყურეში გაჩაღებულ ომზე, რომელმაც რამდენიმე ქვეყანა, ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი და ისრაელი მოიცვა. ყველაფერი 1990 წლის 2 აგვისტოს დაიწყო და ზუსტად ექვს თვეს, სამ კვირასა და ხუთ დღეს გასტანა. ომი ერაყმა წამოიწყო, რომელსაც მაშინ ყველსთვის ცნობილი სადამ ჰუსეინი ედგა სათავეში, როგორც ქვეყნის დემოკრატიულად არჩეული, მაგრამ მსოფლიოში დიქტატორად მიჩნეული პრეზიდენტი.**

ის თავის მეზობელ, პატარა, მაგრამ ნავთობით ძალიან მდიდარ და აყვავებულ სუვერენულ სახელწიფოში, ქუვეითში შეიჭრა, სულ რაღაც ორ დღეში დაიპყრო, ერაყის კუთვნილებად გამოაცხადა და ვეებერთელა ხარკი დააკისრა. ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც წინათ ხდებოდა, საუკუნეების მანძილზე. სადამ ჰუსეინმა, უბრალოდ, ჩათვალა, რომ ქუვეითი ერაყის ისტორიული ნაწილია, და პატრიოტულ გრძნობებზე თამაშით, თავის ხალხს ამ ძირძველი მიწის ერაყისთვის დაბრუნებისკენ მოუწოდა. ქუვეითის ანექსიის ნამდვილი მიზეზი კი სულ სხვა რამ იყო: გასული საუკუნის 80-იან წლებში ერაყსა და ირანს შორის რვაწლიანმა ომმა ეკონომიკურად დაასუსტა ერაყი. ქუვეითში ნავთობის მზარდი წარმოება ერაყის ეკონომიკურ სიმძლავრეებს ცალკე უთხრიდა ძირს.



გარდა ამისა, ერაყს ირანთან ომის საჭიროებებისთვის, ქუვეითისგან 15 მილიარდამდე დოლარი ჰქონდა ნასესხები, და იფიქრა, რომ მევალის ანექსია ფინანსურ შეღავათს მისცემდა, თუმცა, მოვლენები სულ სხვანაირად, სადამ ჰუსეინისთვის სრულიად მოულოდნელად განვითარდა. შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა თვალისდახამხამებაში შექმნეს 35 ქვეყნისგან შემდგარი სამხედრო კოალიცია და დამპყრობელს შეუტიეს.

ერთ მხარეს რეალურად იბრძოდა ქუვეითი, ამერიკა, ინგლისი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე და საფრანგეთი, ერთ მილიონამდე შეიარაღებული ცოცხალი ძალით, მეორე მხარეს კი, მხოლოდ ერაყი 650 ათასი ჯარისკაცით.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ კოალიცია თავისუფლად შესძლებდა ერაყელების განდევნას ოკუპირებული ტერიტორიიდან, თუმცა ისიც იცოდნენ, რომ გამარჯვების ფასიც საკმაოდ მაღალი იქნებოდა. მართლაც ასე მოხდა: კოალიციის საჰაერო ძალებმა საკმაოდ მცირე დროში გაანადგურა ერაყის საჰაერო თავდაცვის სისტემა და მისი საჰაერო თავდასხმის შეიარაღება. ამის შემდეგ დაიწყო სახმელეთო ოპერაცია. არმიის სატანკო შენაერთებმა საგრძნობი წინააღმდეგობის გარეშე გადათელეს ერაყელთა სანგრები. შტურმის მეორე ტალღა ამერიკულმა საზღვაო ქვეითმა შენაერთებმა განახორციელეს. მათ სწრაფად შეაღწიეს ერაყელთა განლაგების სიღრმეში და ათასობით დეზორიენტირებული და მასიური საჰაერო ომით დემორალიზებული ერაყელი მებრძოლი დაატყვევეს.

ერაყის ჯარებმა ქუვეითი 4200 მოკლულით დატოვეს. კოალიციის დანაკარგი კი, მხოლოდ 292 მებრძოლი იყო. კოალიციის წარმატება იმდენად ძლიერი იყო, რომ მთავრობათა წარმომადგენლების ვარაუდით, მას მათ საჭიროზე გაცილებით მეტი სამხედრო ძალა ჰყავდა მობილიზებული. ოპერაციის სტრატეგიამაც და ტაქტიკამაც ამ ომის მომსწრე მოსახლეობაში აღფრთოვანება გამოიწვია. ოპერაცია შეფასდა, როგორც საიდუმლოდ განხორციელებული ბრწყინვალე სამხედრო შეტევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კოალიციური ძალები, რომელსაც ამერიკის არმია მიუძღოდა წინ, ერაყის დედაქალაქ ბაღდადში არ შეჭრილა სადამ ჰუსეინზე ჯავრის საყრელად. როცა სპარსეთის ყურის ომის დასარულს, 1991 წლის 28 თებერვალს, ჟურნალისტებმა გენერალ შუორცკოპფს ჰკითხეს თუ რატომ არ მისდია მტერს ბაღდადამდე, მან კირკიტა მედიას გაღიზიანებულმა უპასუხა, რომ ერაყის დედაქალაქში შეჭრა სულელური გმირობა იქნებოდა, რის შედეგადაც ქალაქში ერაყელ სნაიპერ პარტიზანთა მიერ დახოცილი ამერიკელი მებრძოლების გროვა დადგებოდა. მე მთლიანად დავეთანხმე პრეზიდენტ ბუშის აზრს, რომ ასეთი შეტევა ცუდი მესიჯი იქნებოდა მსოფლიოსთვის და კოალიციურ ძალებშიც ბზარს გამოიწვევდაო. ჩვენი მიზანი, განაგრძო გენერალმა მწარე ტონში, მხოლოდ სადამ ჰუსეინის უდაბნოს მიწასთან გასწორება და დამპყრობლის ქუვეითის ტერიტორიიდან მინიმალური სისხლისღვრით განდევნა იყო.

ახლა კი, დაასკვნა შოურცკოპფმა, იმ დიქტატორის დღეები დათვლილია. იმედი მაქვს, მისი აღსასრული ერთ მშვენიერ დღეს, მისივე ხალხის ხელში აღმოჩნდებაო. ასეც მოხდა: 2003 წლის დეკემბერში, როცა მამის დაწყებული საქმე უმცროსმა პრეზიდენტმა ბუშმა დააგვირგვინა ერაყში, სადამ ჰუსეინი ამერიკულმა შეიარაღებულმა ძალებმა შეიპყრო, და ერაყის ახლმა მთავრობამ ის სიკვდილით დასაჯა, ცხადია, გასამართლების შემდეგ.

ითვლება, რომ სპარსეთის ყურის ხანმოკლე ომში ერაყის დამარცხება საერთაშორისო სამართლის აღსრულებას ნიშნავდა, მოხდა ქუვეითის ტერიტორიის დეოკუპაცია, დაწესდა გაეროს სანქციები ერაყის მიმართ, შეიქმნა არასაფრენი ზონები ერაყის ცაზე, კოალიცია ხანგრძლივი და სისხლიანი სამხედრო კამპანიის ჩატარებას გადარჩა, და, რაც მთავარია, გეოპოლიტიკურ ჭრილში, მოხდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის ისეთ დონეზე შებოჭვა, რაც საშუალებას იძლეოდა რეგიონში ძალთა წონასწორობა დაცულიყო, და ერაყში დიქტატორული რეჟიმის ჩამოშლის შედეგად, მსოფლიოს სახიფათოდ, არ მომხდარიყო ირანისათვის ხელფეხის გახსნა.



დღეს სულ ეს იყო...

**ნუგზარ ბ. რუხაძე**

# ა.ა.ი.პ. საქართველოს დიაბეტის ფონდის მიერ 2021 წ. განხორციელებული საქმიანობის

# ანგარიში

ა.ა.ი.პ. **საქართველოს დიაბეტის ფონდი** (არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამადასტურებელი მოწმობა №4, 15.04.2005).

**საქართველოს დიაბეტის ფონდის** საქმიანობა 2021 წ. მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

1. დიაბეტით დაავადებული მოსახლეობისათვის (ძირითადათ მოზრდილები) სამედიცინო გამოკვლევების ჩატადებას;
2. დიაბეტიანებისთვის მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარების გაწევა;
3. სასწავლო საგანმანათლებლო საქმიანობა;
4. მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე პაციენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა (დაფინანსება ხორციელდებოდა კერძო შემოწირულობებიდან, დეპოზიტის პროცენტებიდან, დამხმარე სამეურნეო საქმიანობიდან ).

1. დიაბეტიანი პაციენტებისთვის სამედიცინო გამოკვლევები მოიცავდა ლაბორატორიულ (HbA1c გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა) და თვალის სრულ გამოკვლევებს (თვალის ფსკერის გამოკვლევა ფუნდუს კამერით, თვალის რეფრაქტომეტრული გამოკვლევა, თვალის წნევის გაზომვა ,სათვალის შრჩევა და სხვ.).
2. დიაბეტიანი პაციენტებისათვის მედიკამენტებით ჰუმანიტარული დახმარება მოიცავდა ფონდის მარაგში არსებული ინსულინის და შპრიცკალმისტრების დარიგებას; აგრეთვე საანალიზო-ტექნიკური საშუალებების (გლუკომეტრები, საანალიზო ჩხირები და სხვ.) გაცემას, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე არარეზიდენტი დიაბეტიანი პაციენტებისთვის.
3. ფონდი დიაბეტურ სკოლაში ახორციელებთა დიაბეტური განათლების მიცემას ყველა დაინტერესებული პირისთვის, სადაც ლექციებს ატარებდნენ ენდოკრინოლოგიის აღიარებული და მაღალკვალიფიცური სპეციალისტები. ფონდმა დაბეჭდა და უფასოდ დაურიგა დიაბეტიან ბავშვებს და მოზრდილებს სასწავლო-სამაგიდე წიგნი „დიაბეტის მართვა“, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს დიაბეტიანი ბავშვების მშობლებს და ყველა დაინტერესებულ პირებს.
4. მრავალი წელია ფონდი ფინანსურ დახმარებას უწევს უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს,რომელთაც სახლში ყავთ დიაბეტიანი ასევე სხვა შშმ პირები.

საანგარიშო პერიოდში ზემოთაღნიშნული მომსახურება და დახმარება გაეწია ათეულობით დიაბეტიან ბავშვსა და მოზრდილ პაციენტს, რომლის დეტალური ანგარიში სრული საფინანსო ინფორმაციისათვის (იხილეთ ბალანსი და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმები) წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს.

ა(ა)იპ „საქართველოს დიაბეტის ფონდი“

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

I.შეუზღუდავი ფონდების ნაწილში

| №№ | შემოსავლები | 2021 |
|---|---|---|
| 1 | შესრულებული სამუშაო | 94477 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები | 85940 |
| 3 | დივიდენდი | 150225 |
| 4 | სხვა შემოსავლები | 735 |
| | | |
| | ***სულ შემოსავლები*** | **331378** |
| | **ხარჯები** | |
| 1 | I პროექტის ხარჯი | 351656 |
| 2 | II პროექტის ხარჯი(ფონდის გადანაწილება) | 12200 |
| | ***სულ ხარჯები*** | **363856** |
| | მთლიანი შედეგი (შემოსავლების ნამეტი/ დეფიციტი) | **-32478** |
| | განსაკუთრებული მუხლები | |
| | ***წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)*** | ***-32478*** |
| | II.დროებითი შეზღუდული ფონდების ნაწილში | |
| | შემოსავლები | |
| 1 | | |
| 2 | შემოწირულობა | 31159 |
| 3 | ფონდების გადანაწილება | 12200 |
| 3 | საწევროები | |
| 4 | | |
| | ***სულ შემოსავალი*** | **43359** |
| | **ხარჯები** | |
| 1 | I პროექტის ხარჯი | |
| 2 | II პროექტის ხარჯი | 15092 |
| | | |
| | ***სულ ხარჯები*** | **15092** |
| | ***წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)*** | ***28267*** |

ა(ა)იპ „საქართველოს დიაბეტის ფონდი“

ბ ა ლ ა ნ ს ი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | | 2020 | 2021 | |
|---|---|---|---|---|
| | აქტივები | | | |
| | *გრძელვადიანი აქტივები* | | | |
| 1 | ძირითადი საშუალებები | 2037834 | 1926184 | |
| 2 | ინვესტიციები | 153922 | 153922 | |
| 3 | სხვა გრძელვადიანი აქტივები | | | |
| | | | | |
| | ***მიმდინარე აქტივები*** | | | |
| 1 | მატერიალური მარაგი | 32635 | 29569 | |
| 2 | დებიტორები | 5350 | 9171 | |
| 3 | ავანსები | 282 | 330 | |
| 4 | ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი | 2508744 | 2613751 | |
| | | | | |
| | სულ აქტივები | 4738766 | 4732927 | |
| | ფონდები და ვალდებულებები | | | |
| | ***ფონდები*** | | | |
| 1 | შეუზღუდავი ფონდი | 4054288 | 4021809 | |
| 2 | დროებით შეზღუდული ფონდი | 675070 | 703337 | |
| | | | | |
| | ***გრძელვადიანი ვალდებულებები*** | | | |
| | გრძელვადიანი სესხები | | | |
| | საპენსიო ანარიცხები | | | |
| | ***მოკლევადიანი ვალდებულებები*** | | | |
| 1 | კრედიტორები | 9409 | 7781 | |
| | მოკლევადიანი სესხები | | | |
| | გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | | | |
| | | | | |
| | სულ ფონდები და ვალდებულებები | 4738766 | 4732927 | |

# თბილისის ავტობუსები დაზღვეული არ არის!

**თბილისის ახალი ავტობუსები დაზღვეული არ არის. ამის მიზეზად თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში ამ ტიპის დაზღვევის კოლოსალური საფასური და თვითონ სადაზღვევო ბიზნესის მხრიდან დაინტერესების არარსებობა მიიჩნევა, რის გამოც ამ ხნის განმავლობაში სატრანსპორტო კომპანიამ ვერც ერთ სადაზღვევო კომპანიასთან ვერ მიაღწია შეთანხმებას.**

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლის ლელა სეთურიძის თქმით, დაზღვევის საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება, თუმცა გასულ პერიოდში ამაზე სისტემატურად მიმდინარეობდა მუშაობა, რამაც შედეგი ვერ გამოიღო.



**„ამ ეტაპისთვის ჩვენი ავტობუსები დაზღვეული არ არის, რასაც ორი მიზეზი აქვს: სერვისით თვითონ კომპანიები არ ინტერესდებიან და მეორე, არარეალურ, კოლოსალურ თანხებზეა საუბარი, რის გადახდაც კომპანიისთვის პრობლემა ნამდვილად არის. ჩვენ შემთხვევაში, მოქმედებს „მესამე პირის დაზღვევა“, ამ ნაწილში „ნიუ ვიჟენის“ მომსახურებით ვსარგებლობთ. ჯერჯერობით დაზღვევის საკითხი არ განიხილება, თუმცა ამასთან დაკავშირებით ვმუშაობდით სისტემატურად და საკითხს მომავალშიც მივუბრუნდებით. მთავარია, ტარიფი იყოს გონივრული, რომელიც ჩვენთვის და ბიზნესისთვისაც მისაღები იქნება“, —** ამბობს ლელა სეთურიძე ,,კომერსანტთან“.

საავტომობილო სფეროს სპეციალისტების აზრით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველა ნორმალურ ქვეყანაში დაზღვეულია და ეს მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის, რათა ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

„პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე გელა კვაშილავა აცხადებს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ვერ იქნება უსაფრთხო, სანამ დაზღვევის კომპონენტი არ ჩაერთვება, რაც რისკის პრევენციის მთავარი პირობაა.

**„საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოებაზე ზრუნვა სწორედ დაზღვევით უნდა იწყებოდეს. ამ რისკის დაზღვევა აუცილებელია. როგორც წესი, ამ შემთხვევაში უფრო ოპერატიულად გვარდება პრობლემა, სასამართლოც ნაკლებად ერევა და უფრო მცირე ფინანსური რესურსი იხარჯება. იმის გამო, რომ ტრანსპორტი არ არის დაზღვეული, ავტოსაგზაო შემთხვევებისას ხარჯი ხშირად მძღოლზე გადადის, დროში იწელება ეს პროცესი და რიგი პრობლემები ახლავს, რაც ძალიან დიდ დისკომფორტს ქმნის. მესმის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაზღვევა ძვირია, მაგრამ ხარჯი აუცილებლად უნდა გაიღოს კომპანიამ. გარდა ამისა, დაზღვევას აქვს მეორე მხარეც — შემოსული თანხით საგზაო უსაფრთხოების პროექტები ფინანსდება, რაშიც შემოსავლის 3-5% იხარჯება. ასეა ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მათ შორის რეგიონის ქვეყნებში. საქართველოში აქამდე რატომ ვერ მოხერხდა, ჩემთვის გაუგებარია“, —** აცხადებს გელა კვაშილავა „კომერსანტთან“.

ცნობისთვის, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ორშაბათს, 21 მარტს, თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე ერთმანეთს სამგზავრო ავტობუსი და ორი მსუბუქი მანქანა შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 2 პირი დაშავდა.

**მარი ჩიტაია**

## ◎ დოჰიოზე

# ცოტაც, ლევან!..

**უკვე მეორედ, ტოჩინოშინმა ჰარუ ბაშოზე ზედიზედ 3 ორთაბრძოლა მოიგო. როგორც ჩანს, ქართველ სუმოისტს ტრავმა წინა ტურნირებისგან განსხვავებით ნაკლებად აწუხებს და ოპტიმალური კონდიციები აკრიფა.**

ლევანის მეტოქე გუშინ კაისეი იყო, რომელსაც მძიმე ბრძოლაში აჯობა. დაპირისპირების დაწყებისთანავე ორივე სპორტსმენმა ერთი პოზიცია დაიჭირა. ასეთ დროს მეტოქის ადგილიდან დაძვრა ძალიან ძნელია. პირველი ბიძგი სწორედ კაისეისგან იყო, რომელიც ჩვენებურის დოჰიოს კიდისკენ წაყვანას ცდილობდა, თუმცა, ტოჩიმ ძალები მოიკრიბა და დოჰიოდან მეტოქე აუღელვებლად გადაიყვანა.



ეს გორგაძის მე-7 გამარჯვებაა გაზაფხულის პირველ ტურნირზე და დადებით ბალანსამდე მხოლოდ ერთი მოგება აშორებს, მაგრამ ხომ გაგიგიათ „მადა ჭამაში მოდისო“. ჰოდა, რატომაც არა?! რაც უფრო მეტ შეხვედრას მოიგებს დარჩენილი 5 ბრძოლიდან, მით უკეთესი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებურს 3 მარცხი აქვს და ყველაზე ცუდ შემთხვევაში — უარყოფითი ბალანსისთვის ყველა უნდა წააგოს, რაც დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, სრული აბსურდია.

დღეს ტოჩინოშინი მე-11 მაეგაშირა ტერუცუოშს შეხვდება, რომელთანაც უარყოფითი ბალანსი აქვს და აუცილებლად მოგება მართებს. ეს წყვილი აქამდე ერთმანეთს 7-ჯერ შეხვედრია, რომელთაგანაც 3-ჯერ ლევანმა მოიგო, ხოლო 4-ჯერ დამარცხდა.

## ◎ ოქტაგონზე

# მეოთხე მსხვერპლი



**UFC-ის ბოლო ღონისძიებას ლონდონმა უმასპინძლა, სადაც შთამბეჭდავი ბრძოლა ილია თოფურიას გამარჯვებით დასრულდა. მისი მეტოქე ჯეი ჰერბერტი იყო, რომელიც UFC-ში ქართველი მებრძოლის რიგით მეოთხე მსხვერპლი გახდა.**

პირველი რაუნდის „მოთელვის“ შემდეგ თოფურიამ უსწრაფესი და უზუსტესი დარტყმით მოწინააღმდეგე ნოკაუტში გაუშვა. აღსანიშნავია, რომ შერეულ ორთაბრძოლებში ქართველების უპირატესობად ტრადიციულად ჭიდაობა მიიჩნევა, მაგრამ თოფურიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უნივერსალური სპორტსმენია და ბრძოლა მოკრივის უზუსტესი დარტყმით დაასრულა.

## ◎ ოვალური ბურთი

# „ბორჯღალოსანთა“ მე-14 გაელვება

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატი მე-14-ედ, ხოლო ზედიზედ მეათედ მოიგო. გეკითხებით, მეტი რაღაა საჭირო, რომ „ბორჯღალოსნებს“ თავის გამოჩენის შანსი ექვს ერშიც მიეცეთ? მით უმეტეს, ელიტის მაჩანჩალა იტალიამ ბოლო 7 წელიწადში პირველი გამარჯვება უელსთან მოიპოვა — 22:21, ბობოლათა ტურნირის ტრიუმფატორი კი სლემით (ქულათა მაქსიმუმით) პირველად 2010 წლის შემდეგ საფრანგეთი გახდა.**

### საქართველო-ესპანეთი 49:15

**პირველი ტაიმი — 18:8**

**საქართველო:** ნინიაშვილი (ხმალაძე), ტაბუცაძე, კვესელაძე, შარიქაძე, თოდუა (თაფლაძე), აბჟანდაძე, ლობჟანიძე (აფრასიძე), გოგიჩაშვილი (ნარიაშვილი), მამუკაშვილი (ჭყოიძე), გიგაშვილი (ხარაიშვილი), ჭეიშვილი, მიქაუტაძე (ქერდიყოშვილი), გიორგაძე, საღინაძე, გორგაძე (ივანიშვილი).

**ლელო:** ტაბუცაძე (2), გიორგაძე (2), შარიქაძე, ჭყოიძე; **არეკნი:** ლობჟანიძე; **2 საჯარიმო, 5 გარდასახვა:** აბჟანდაძე.

**მსაჯი:** კრეიგ ევანსი (უელსი).

ჩატარდება თუ არა მატჩი? — ბოლო მომენტამდე კითხულობდნენ რაგბის ქომაგნი ნაგვიანევი დაზამთრების გამო. „დინამო არენის“ პერსონალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კაპიტალურად გაწმინდეს გაზონი თოვლისგან და ბრძოლის გადადება ავტომატურად გამოირიცხა. არადა, ნატურალიზებული კვალიფიციური მოთამაშეებით დახუნძლული სტუმრებისთვის უკეთესი იქნებოდა, რომ მატჩი სხვა დროს გამართულიყო, განსაკუთრებით — მისი დასკვნითი ნახევარი საათი, როცა **ლევან მაისაშვილის** შეგირდებმა ამ ბოლო დროს საფუძვლიანად მომძლავრებული და თბილისში ლიდერის სტატუსით ჩამოსული მეტოქე ნოკაუტში ჩააგდეს.

**ლევან მაისაშვილი (მთავარი მწვრთნელი):** „ფინალი და მისი ტოლფასი ჯახი ყოველთვის განსხვავებულია რიგითი თამაშებისგან. ესპანეთის ნაკრები წლეულს დანარჩენ გუნდებთან შედარებით ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, ყველა შეხვედრა მოგებული ჰქონდა და ფავორიტად მიიჩნეოდა. რთულ ბრძოლას ველოდით და, მართლაც, ნახეთ, რომ მაქსიმალური ძალისხმევით მივაღწიეთ მიზანს.

აქამდე არაერთი კრიტიკა მოვისმინე ჩვენ მიმართ. კონსტრუქციული კრიტიკა სასარგებლოც კია, მეტ მოტივაციას გაძლევს, მაგრამ ძალიან ბევრი სრულიად დაუსაბუთებელი, აბსურდული განცხადებებიც კეთდებოდა, რაც ძალზე საწყენია. უნდა მივეჩვიოთ, რომ მეტოქეები ისე გვიყურებენ, როგორც ფავორიტებს და ჩვენ წინააღმდეგ მატჩის დროს მაქსიმალურად იხარჯებიან, ამიტომ არ არის მათთან თამაში მარტივი. ჩვენ თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს გავდივართ მაშინ, როდესაც ესპანეთმა და რუმინეთმა ის 4-5 წლის წინათ უკვე გაიარეს და აღნიშნული ტურნირისთვის კარგად მოემზადნენ.




ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ტურნირის დაწყება ყოველთვის გვიჭირს, რადგან ვიდრე ავეწყობით და დავლაგდებით, პრობლემებს ვაწყდებით. ნუ დაგავიწყდებათ აგრეთვე, რომ პირველი თამაშის წინ გუნდის 40 პროცენტს კოვიდი ჰქონდა და მწვრთნელებიან-მორაგბეებიანად ყველა მკურნალობდა, რის გამოც თამამად შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურად მოუმზადებელნი ვიყავით.

გარდამტეხი აღმოჩნდა რუმინეთში მოპოვებული გამარჯვება, მაგრამ, რაც მთავარია, მაშინაც კი იმხელა კრიტიკა წამოვიდა, ძალიან გამიკვირდა.

ერთი სიტყვით, ესპანეთთან მატჩი წლეულს საუკეთესო იყო, თუმცა მაინც დრო გვჭირდება, რომ ბიჭები უფრო შეთამაშდნენ და სტაბილურობას მივაღწიოთ. მუდმივად ვმუშაობთ უკანა ხაზის თამაშის დახვეწაზე და ჩვენი მიზანი იმთავითვე მისი და შერკინების ბალანსის მიღწევა გახლდათ. ვფიქრობ, ნელ-ნელა ამას ვახერხებთ კიდეც“.

**მერაბ შარიქაძე (გუნდის კაპიტანი):** „დღეს კარგად ვითამაშეთ და ალბათ ამჯერად ველარავინ მოგვედავება. გვსურდა გულშემატკივართა გახარება, რადგან ვიცოდით, როგორ ელოდებოდნენ ამ გამარჯვებას და ჩვენც დიდი მოლოდინი გვქონდა. გემახსოვრებათ, რომ სასტარტო საშინაო მატჩი პორტუგალიასთან არ გამოგვივიდა და გვინდოდა ქომაგისთვის ჩვენი ნამდვილი ძალა გვეჩვენებინა. იოლი არაა ამდენი წნეხის, ნეგატივისა და კრიტიკის შემდეგ მობილიზება, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით“.

### საბოლოო მდგომარეობა

**რაგბი ევროპის ჩემპიონატი:** საქართველო — 20, ესპანეთი — 17, რუმინეთი — 14, პორტუგალია — 12, ნიდერლანდები — 4, რუსეთი — 1 ქულა.

**მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირი:** საქართველო — 44, ესპანეთი — 29, რუმინეთი — 28, პორტუგალია — 26, რუსეთი — 10, ნიდერლანდები — 4 ქულა.

**მსოფლიოს თასი-2023. C ჯგუფი:** საქართველო, ავსტრალია, უელსი, ფიჯი და რეპეშაჟის ერთ-ერთი გამარჯვებული.

* * *

**პირველი** ქართული ფრენჩაიზი „შავი ლომი“ უკვე სამხრეთ აფრიკაშია, სადაც ისტორიულ ქარი კაპზე სამ შეხვედრას შემდეგი განრიგით გამართავს:

**26 მარტი.** „შავი ლომი“ — კენია; **2 აპრილი.** „შავი ლომი“ — ზიმბაბვე (ორივე შეხვედრას სტელენბოში უმასპინძლებს); **7 აპრილი.** „შავი ლომი“ — სამხრეთ აფრიკის „ელეფანტი“ (პორტ-ელიზაბეტი).

### „შავი ლომი“

**პირველი ხაზი:** წიკლაური, პატარაია, ზამთარაძე, ორაგველიძე, ქადარია, მაისურაძე, პერტაია, აბულაძე, ჭავჭავაძე; **მეორე ხაზი:** მიხეილ ბაბუნაშვილი, გუშარაშვილი, ჭეიშვილი, ჯაიანი; **მესამე ხაზი:** თხილაიშვილი, ნიკო აფციაური, აქუბარდია, ივანიშვილი, მამამთავრიშვილი. **№9:** ბეგაძე, პერანიძე; **№10:** ხუროშვილი, მოძღვრიშვილი, მატკავა, გიორგი ბაბუნაშვილი; **№12-13:** ჩიქოვანი, ქანდაურაშვილი, სვანიძე, თაფლაძე; **№11-14:** ჭიჭინაძე, ლაშხი, შალვა აფციაური; **№15:** მოდებაძე. **მწვრთნელები:** ლადო კილასონია, ზურაბ ამონაშვილი, თორნიკე ბუბუტეიშვილი.

## ◎ ფორმულა-1

# ბაჰრეინის ტრასაზე




**შარლ ლეკლერმა ახალი სეზონი გამარჯვებით დაიწყო — მან და კარლოს საინსმა „ფერარის“ დუბლით მოაგებინეს. და, რაც მთავარია, მონაკოელმა მოქმედ ჩემპიონთან უშუალო ბრძოლაში დაამტკიცა, რომ ის და „ფერარი“ ტიტულისთვის საბრძოლველად არიან მომართულნი.**

ლეკლერმა რბოლა პოულიდან დაიწყო, სტარტზევე დაწინაურდა და დიდი ნაწილი პოულზე გაატარა, თუმცა მე-17 წრიდან სამი წრის განმავლობაში ფერსტაპენთან უშეღავათო ბრძოლა გადახდა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩემპიონის სამ წარმატებულ მანევრს სამჯერვე ლიდერობის დაბრუნებით უპასუხა.

„ფერარი“, მატია ბინოტო, მარანელო და მთელი იტალია, „ფერარის“ მსოფლიო ფანობა ეიფორიაშია. ორწლიანი ჩავარდნის შემდეგ „წითლები“ ისევ მოწინავეთა შორის არიან და სეზონს ლიდერის რანგში იწყებენ. ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ მეტოქეებს რამე იოლად დაუთმონ.

## ◎ SOS!

# ბოროტების სადარაჯოზე

**უკრაინაში ოკუპაციის დაწყების შემდეგ სპორტის თითქმის ყველა სახეობაში რუსულ კლუბებს ევროტურნირებზე გამოსვლა აუკრძალეს და გუნდებს ისღა დარჩენიათ, ოდენ ეროვნულ პირველობაზე გამოსვლით დაკმაყოფილდნენ. თუმცა, ბევრს არც ეს აჩერებს და კვლავ აგრძელებენ კაცთმოძულეობას.**

წარმოდგენილი ფოტო ჰოკეიში რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი რიგითი შეხვედრის წინაა გადაღებული. ასპარეზობის წინ მოსკოვის „დინამოს“ და კლუბ სკა-ს ჰოკეისტებმა ბოლო დროს რუსული არმიის და ზოგადად რუსული ფაშიზმის სიმბოლოდ აღიარებული ლათინური ასო **Z** გამოსახეს და ამ გზით დაუჭირეს მხარი რუსეთის საოკუპაციო არმიას.




სპორტული და არამხოლოდ სპორტული მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ეს ქმედება რუსული ჰოკეის დამატებითი დასანქცირების მიზეზი შეიძლება გახდეს. მაგრამ აქვს კი აზრი დამატებით სანქციებს, როდესაც ყველა ვხედავთ, რომ როდესაც საქმე ბოროტებას და ოკუპაციას ეხება, რუსეთში სპორტიც კი არმიის ნაწილი ხდება...

# ნავთობის დიდ გაძვირებას დიდი კლებაც მოჰყვა, მაგრამ!..

**უკრაინაში რუსული საომარი მოქმედებების ფონზე, ევროკავშირის ფინანსთა მინისტრები საყოფაცხოვრებო საწვავზე ფასების სუბსიდირებასა და ენერგორესურსების ფასების მატებით დაზარალებული კომპანიების მხარდაჭერაზე შეთანხმდნენ. საქართველოში ამას რუსეთ-უკრაინის ომამდეც ითხოვდნენ და ახლა მით უმეტეს, მაგრამ არც ხალხის და არც ბიზნესის თხოვნას ყურში არავინ უშვებს. ამ დროს ისედაც პიკზე მყოფი ინფლაცია ახალ ძალებს იკრებს და მალე კიდევ ერთ ანტირეკორდს დაამყარებს. ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრ ბრუნო ლე მერის განცხადებით, ერთობლივი სტრატეგია ევროკომისიის შემოთავაზებას ეყრდნობა, რაც უკრაინის კრიზისთან გასამკლავებლად, ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო დახმარებებთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქებას ითვალისწინებს.**

ევროკავშირის სტრატეგიას სამი ძირითადი მიზანი აქვს. **პირველი** – ევროკავშირის ქვეყნებშიც საწვავის ფასების მკვეთრი ზრდით დაზარალებული ოჯახების ხელშეწყობა. **მეორე** – დაზარალებული კომპანიების დახმარება, იქნება ეს მთავრობის მიერ გარანტირებული სესხი თუ გრანტი იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ენერგიას მოიხმარენ. **მესამე** – რუსული იმპორტისგან დამოუკიდებლობის მისაღწევად, ენერგორესურსების დივერსიფიკაცია.

ენერგოდივერსიფიკაცია, მარაგების შექმნა და ინვესტიციების დაჩქარება ენერგოდამოუკიდებლობის მისაღწევად მთავარი ინსტრუმენტებია. ამჟამად რუსეთი ბლოკის უმსხვილესი ენერგომიმწოდებელია, ბუნებრივი აირის 45%-იანი წილით. გარდა ამისა, რუსეთზე იმპორტირებული ნავთობის მეოთხედზე მეტი და ქვანახშირის მიწოდების ნახევარიც მოდის. ევროპაში უკვე დაიწყეს მოქმედება მომხმარებლების დაცვაზე და საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ ფიქრიც არ დაუწყიათ. არადა, საწავის ღირებულება განუწყვეტლივ მატულობს და მალე მას ძირითადი მოხმარების საქონლის ფასებიც გამოედევნება.

„ბიოილის“ გენერალური დირექტორის **რუსუდან რამაზაშვილის** თქმით, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდამ და ლარის გაუფასურებამ, საწვავის საცალო ფასზე უკვე დიდი გავლენა მოახდინა.

**„სანავთობო ბირჟებზე ერთი კვირის წინ ბარელი ნავთობის ფასმა 130 დოლარს მიაღწია, დღეს 110 დოლარია. ამ არასტაბილურობიდან გამომდინარე, ასევე ლარის კურსის გათვალისწინებით, საცალო სექტორში ფასები გაზრდილია. ახლა ჩვენთან ევრო რეგულარის ტიპის საწვავი 3.45 ლარი ღირს, თუმცა ვხედავთ, რომ ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებში უკვე 3.65 ლარზე იყიდება. ვფიქრობდით, რომ ფასი 4 ლარზე ავიდოდა, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე საწვავის ღირებულების 20 დოლარიანი კლება, ახლა, საშუალებას გვაძლევს, ფასი 3.45 – 3.50 ლარის ზემოთ არ ავწიოთ“,** – აღნიშნა რუსუდან რამაზაშვილმა.

შეგახსენებთ, რუსეთის უკრაინაში შეჭრის ფონზე, ნავთობის ფასი რეკორდულად გაიზარდა და 130-დოლარიან ნიშნულსაც კი გადააჭარბა. არსებობს პროგნოზები, რომ ნავთობის ფასი შესაძლოა 200 დოლარამდე გაიზარდოს. კომპანია „სენტა პეტროლიუმის“ დამფუძნებელი **ზაალ იაკობიძე** აცხადებს, რომ მომავალში ფასების სტაბილურობა მთლიანად საერთაშორისო ბაზარზეა დამოკიდებული, რადგან ქვეყანა ბოლომდე იმპორტზეა მიბმული. ამ ეტაპზე საბითუმო ბაზარზე ბენზინის ღირებულება 3.20-3.25-ის ფარგლებშია და ზრდის ტენდენცია აღარ შეინიშნება. „საერთაშორისო ბაზარზე მკვეთრად შემცირდა ნავთობის ღირებულება, თუმცა რა იქნება უახლოეს მომავალში, რთული სათქმელია. ომიდან გამომდინარე, არაპროგნოზირებადი ვითარებაა, ამიტომ ეს ნიშნული შენარჩუნდება და შემდეგ ზემოთ წავა თუ ქვემოთ, ძნელი სათქმელია.

**რეალურად, ღირებულების კლება და მატება ჩვენზე არ არის დამოკიდებული, რადგან საწვავი არის სრულად იმპორტირებული პროდუქტი და 100%-ით ვართ საერთაშორისო ბაზარზე დამოკიდებული. იმის თქმა შემიძლია, რომ ბოლო პერიოდში დიდი გაძვირება იყო და ახლა დიდი კლებაა, დანარჩენს კი უნდა დაველოდოთ. ვნახოთ, როგორ შეიცვლება ვითარება“,** – განაცხადა იაკობიძემ.

**ბექა დანელია**

# GENERAL PROCUREMENT NOTICE

**Georgia**
**Kakheti Connectivity Improvement Project (KCIP)**
**Road Sector**
**GENERAL PROCUREMENT NOTICE**
**Loan No./Credit No./TF No./Grant No. (TBD)**
**Project ID No. P173782**

The Government of Georgia has applied for financing in the amount of US$ 109 equivalent from the World Bank towards the cost of the Kakheti Connectivity Improvement Project (KCIP), and it intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, non-consulting services and consulting services to be procured under this project.

The project will include the following components:

| Project Components | IBRD Financing, (US$ million) |
|---|---|
| **Component 1: Connectivity Improvements on the Eastern Corridor** | **107.43** |
| **Component 2: Improvements to Local Marketplace*** | **0.30** |
| **Component 3: Institutional Strengthening and Implementation Support** | **1.00** |
| **Total Project Cost** (including VAT) | **108.73** |
| **Front-End Fees**[1] | **0.27** |
| **Total Financing Required** | **109.00** |

** Note: It is envisaged under the main CWs contract and will not be procured separately.*

Procurement of contracts financed by the World Bank will be conducted through the procedures as specified in the World Bank's *Procurement Regulations for IPF Borrowers for Goods, Works, Non-Consulting and Consulting Services, dated November 2020, Fourth Edition*, and is open to all eligible firms and individuals as defined in the *Procurement Regulations*. After project negotiations, the World Bank shall arrange the publication on its external website of the agreed initial procurement plan and all subsequent updates once it has provided a no objection.

Specific procurement notices for contracts subject to open international competitive procurement will be announced, as they become available, in *UN Development Business online, on the World Bank's external website and* web page of the *Roads Department of Georgia*

Prequalification/Initial Selection of suppliers and contractors will not be required.

Interested eligible firms and individuals who would wish to be considered for the provision of goods, works, non-consulting services and consulting services for the above mentioned project, or those requiring additional information, should contact the Borrower at the address below:

| Organization/Department | Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia |
|---|---|
| Address | 12 Al. Kazbegi Avenue |
| City | Tbilisi |
| Postal Code | 0160 |
| Country | Georgia |
| Phone | + (995 32) 2 37-05-08 |
| Email | info@georoad.ge |
| Web Site | www.georoad.ge |

[1] **The Front-end Fee is one quarter of one percent (0.25%) of the Loan amount.**

# ქუთაისის აეროპორტს თოვლის და ყინვის არ ეშინია!

**ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტმა საჰაერო ხომალდის მოყინვის საწინააღმდეგო ხარისხის კონტროლის აუდიტი წარმატებით გაიარა და იმ 300-ზე მეტი აეროპორტის გაერთიანების წევრი გახდა, ვისაც მსგავსი აუდიტი აქვს გავლილი.**

აეროპორტის პრესსამსახურის ცნობით, ეს იმას ნიშნავს, რომ ქუთაისის აეროპორტში თვითმფრინავების მოყინვის საწინააღმდეგო სითხით დამუშავება IATA-ს სტანდარტების სრული დაცვით ხდება და საჰაერო ხომალდები ოპერირებას მკაცრი მეტეოროლოგიური პირობების დროსაც შეუფერხებლად შეძლებენ.

DAQCP არის საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (IATA) აუდიტების შემადგენელი ნაწილი. საჰაერო ხომალდის მოყინვის საწინააღმდეგო ხარისხის კონტროლის აუდიტის (DAQCP) მთავარი მიზანია თვითმფრინავების ოპერირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში შემოწმდა, როგორც მოყინვის საწინააღმდეგო ტექნიკა და სითხეები, ასევე სახელმძღვანელოები, პროცედურები და მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის, თამარ არჩუაძის განცხადებით, საჰაერო ხომალდის მოყინვის საწინააღმდეგო ხარისხის კონტროლის აუდიტმა (DAQCP) ქუთაისის აეროპორტში შენიშვნების გარეშე ჩაიარა.

# განცხადება

**2022 წლის 12 ამპრილს 12 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარი“-ს აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.**

**დღის წესრიგი:**

**1. 2021 წლის ბალანსის შედეგების განხილვა;**
**(მომხს. ნ. გუმბერიძე)**
**2. მოგების განაწილების დამტკიცება;**
**(მომხს. ც. მიქაძე)**
**3. სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებების შეტანა;**
**4. აქციონერების მიერ საკუთარი წილების გასხვისების შესახებ;**
**5. სხვადასხვა საკითხები.**

**ს.ს. „ოპიზარი“-ს აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2022 წლის 27 თებერვალი.**

**დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოება „ოპიზარი“-ს დირექციაში.**

**ტელეფონი: 598-555-999**

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!



# ნუთუ „შეჰერეზადა“ პუტინისაა?

**რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ალექსეი ნავალნის გუნდმა გამოაქვეყნა გამოძიების შედეგები 140-მეტრიანი იახტა „შეჰერეზადას“ შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის საკუთრებაა.**

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იახტა 2020 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. ნავალნის თანამოაზრეების თქმით, ახლა იახტა იმყოფება იტალიის ტოსკანაში, ზღვისპირა კურორტ მარინა დი კარარას პორტში. პორტალ SuperYachtfen-ის ცნობით, იახტის ღირებულება 700 მილიონი დოლარია (72,8 მილიარდი რუბლი რუსეთის ცენტრალური ბანკის 21 მარტის კურსით).

იახტას 6 გემბანი აქვს. მთავარ გემბანზე განთავსებულია 6 სასტუმრო კაიუტა, გრანდიოზული სასადილო ოთახი, სპა, მასაჟის სალონები, საუნები, სპორტული დარბაზი, დაივინგისა და სათევზაო აღჭურვილობის კაბინა.

მანამდე, The New York Times-ი იტყობინებოდა, რომ იახტას აქვს აუზი დასაკეცი სახურავით, რომელიც იქცევა საცეკვაო მოედნად, ხოლო სააბაზანოებში მოოქროვილი ჭაღებია დამაგრებული.

იახტას ასევე აქვს ვერტმფრენის დასაფრენი ორი მოედანი. ერთ-ერთ ზედა გემბანზე არის ვეებერთელა მისაღები, სასადილო ოთახი, ორი ვიპ-კაიუტა და მექანიკური ფორტეპიანო, რომელიც ეკიპაჟის წევრის თქმით, თავად უკრავს.

იახტაზე ასევე არის საბილიარდო და სამი ბუხარი, რომელთაგან ორი გაზისაა, ხოლო ერთი შეშის. ნავალნის გუნდი აღნიშნავს, რომ შეშის ბუხარი „წარმოუდგენელი იშვიათობაა სუპერიახტებისთვისაც კი“.

ითვლება, რომ ერთ-ერთი გემბანი მთლიანად მფლობელის განკარგულებაშია, რომელიც თავის მხრივ ორ ზონად იყოფა. ერთი არის მესაკუთრის ზონა, სადაც განთავსებულია საძინებელი, პრივატული სპა სალონი, აბაზანა ჯაკუზით, გასახდელი ოთახი და სამუშაო კაბინეტი. მეორე ზონა მფლობელის კომპანიონს ეკუთვნის, რომელიც შედგება უზარმაზარი საძინებლის, ჯაკუზიანი აბაზანისა და გასახდელი ოთახისგან. გემის მფლობელი ოფიციალურად უცნობია — დოკუმენტებში მითითებულია ოფშორული კომპანია მარშალის კუნძულებიდან. „შეჰერეზადა“ ერთადერთია მსოფლიოში არსებული 14 ერთეული 140-მეტრიანი იახტიდან, რომლის მფლობელის ვინაობა საჯაროდ არ გახმაურებულა.

ნავალნის გუნდმა ოფიციალური მტკიცებულება იმისა, რომ იახტას პუტინი ფლობს, ვერ მოიპოვა. მაგრამ ნავალნის ერთ-ერთი თანამოაზრე მარია პევჩიხის თქმით, აღმოაჩინეს „საუკეთესო მტკიცებულება“ იმისა, რომ იახტა ნამდვილად პუტინს ეკუთვნის ის დაკომპლექტებულია რუსეთის დაცვის ფედერალური სამსახურის (FSO) წევრებით. სწორედ ეს უწყებაა პასუხისმგებელი რუსეთის პრეზიდენტის დაცვაზე.

საერთო ჯამში, გამომძიებლების მიერ მოპოვებული ეკიპაჟის სიის მიხედვით, იახტაზე 23 ადამიანი მუშაობს: გემის კაპიტანი გაი ბენეტ-პირსი დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა, დანარჩენები რუსეთის მოქალაქეები არიან.

გემის კაპიტანმა, გაი ბენეტ-პირსმა The New York Times-თან საუბარში უარყო, რომ იახტას პუტინი ფლობს ან ოდესმე ყოფილა მასზე. **„მე ის არასოდეს მინახავს. მე მას არასოდეს შევხვედრივარ“,** — განუცხადა მან გამოცემას. ამასთან, კაპიტანს არ გამოურიცხავს, რომ იახტა შესაძლოა რუსეთის მოქალაქეს ეკუთვნოდეს.

# მოსახლეობამ ბორისპოლი უნდა დატოვოს...

უკრაინის ქალაქ ბორისპოლის მერმა მოსახლეობას ქალაქიდან წასვლისკენ მოუწოდა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ამის შესახებ ვოლოდიმირ ბორისენკომ ვიდეომიმართვაში ილაპარაკა.

**„მივმართავ მშვიდობიან მოსახლეობას, გამოიჩინონ გონიერება, დაუკავშირდნენ ჩვენს ქოლ-ცენტრს და თუ შესაძლებელია, დატოვონ ქალაქი“,** — აცხადებს მერი. ბორისენკოს განმარტებით, რაც უფრო მცირეა ქალაქში მშვიდობიანი მოსახლეობა, მით უფრო ადვილია შეიარაღებული ძალების მუშაობა.



# ფაშისტებს გადაურჩა — რუსებს — ვერა

**ხარკოვში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საცხოვრებელი სახლის დაბომბვისას საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილი ტყვე ბორის რომანჩენკო დაიღუპა,** — ამის შესახებ მემორიალური კომპლექსის ბუხენვალდის ადმინისტრაციამ განაცხადა.

**„როგორც მისი ნათესავებისგან შევიტყვეთ, ჩვენი მეგობარი ბორის რომანჩენკო, რომელმაც ბუხენვალდის, პენემიუნდეს, დორასა და ბერგენ-ბელზენის ბანაკები გამოიარა, გასულ პარასკევს ხარკოვში სახლის დაბომბვის დროს დაიღუპა. მისი შვილიშვილის თქმით, ის მრავალსართულიან სახლში ცხოვრობდა, რომელსაც ჭური მოხვდა“,** — ნათქვამია ინფორმაციაში. ბორის რომანჩენკო დაიბადა 1926 წელს სუმის ოლქში. იყო ბუხენვალდ-დორას საერთაშორისო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი.

# დასახლება მაკაროვი ოკუპანტებისგან გაათავისუფლეს

**უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ოკუპანტებისგან კიევის ოლქის ბუჩის რაიონში მდებარე საქალაქო ტიპის დასახლება მაკაროვი გაათავისუფლეს,** — ამის შესახებ ნათქვამია უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბის განცხადებაში. მაკაროვთან უკვე რამდენიმე კვირაა, ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს. უკრაინული მედია წერდა, რომ დასახლების დაკავება რუსეთის ძალებმა რამდენჯერმე შეძლეს, თუმცა უკრაინელმა სამხედროებმა ისინი განდევნეს.

# საქართველოში ნასწავლი მაროდიორობა უკრაინაში გააგრძელეს

**უკრაინული მედიის ცნობით, ამის შესახებ უკრაინელმა სამხედრომ იგორ ლუცენკომ საკუთარ „ფეისბუქზე“ აღნიშნა,** — მისი თქმით, კიევის რეგიონში ოკუპანტები ხალიჩებსაც კი იპარავენ. **„ხუმრობა არაა. ოკუპანტები ჰოსტომელის აეროპორტის მახლობლად მრავალსართულიანი შენობებიდან ხალიჩებს იპარავენ“,** — აღნიშნა ლუცენკომ.

**აქვე, სამხედრო პირმა მტკიცებულებად საჰაერო დაზვერვის ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც რუსების სამი ერთეული ჯავშანმანქანა ჩანს, რომლითაც ოკუპანტები გადაადგილდებიან და მათ მიერ მოპარული ხალიჩები ქვეითთა საბრძოლო მანქანაზე დევს.**

მანამდე უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა რუსი ოკუპანტების მაროდიორობის შესახებ მტკიცებულებები გამოაქვეყნა. დონეცკის რეგიონიდან ერთ-ერთმა ოკუპანტმა საკუთარ ცოლს უკრაინული სიმბარათიდან დაურეკა, რომელიც მობილურ ტელეფონთან ერთად „იპოვა“. საუბარში მან ასევე აღნიშნა, რომ ძვირადღირებული საათი, სათამაშო კონსოლი PlayStation 4 და 80 ათასი გრივნა აქვს.

# რუსები საწვავისა და სურსათის გარეშე რჩებიან

**რუსეთის ძალები უკრაინაში სამი დღის საბრძოლო მასალებისა და სურსათის მარაგებს ფლობენ; ანალოგიური მდგომარეობაა საწვავთან დაკავშირებით, რომლის შევსებასაც საოკუპაციო ძალები საავტომობილო ავზების გადაზიდვით ახორციელებენ,** — ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბი ავრცელებს.

**გენშტაბის მონაცემებით, გასული დღე-ღამის განმავლობაში უკრაინის ძალებმა მოწინააღმდეგის ერთი თვითმფრინავი, ექვსი უპილოტო საფრენი აპარატი და ორი ვერტმფრენი ჩამოაგდეს. ჩამოგდებული რაკეტების რაოდენობა ზუსტდება. განადგურებულია 14 ტანკი, ასევე სხვა ჯავშანტექნიკა, სამი საარტილერიო სისტემა. მარიუპოლის დამცველებმა ასევე გაანადგურეს რუსეთის საპატრულო კატარღა.**



უკრაინული მხარის ცნობით, ბოლო დღე-ღამეში მტრის ძალების პირადი შემადგენლობის დანაკარგმა დაახლოებით 300 ადამიანი შეადგინა. უკრაინის გამნაღმველთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ მათი შეფასებით, უკრაინის ტერიტორიის 82,5 ათას კვადრატულ კილომეტრზე ფეთქებადსაშიში მოწყობილობებია განთავსებული და ეს ტერიტორია განაღმვას საჭიროებს. უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის სწრაფი რეაგირების ცენტრის მონაცემებით, მხოლოდ გასული კვირის განმავლობაში კიევის ოლქში გამნაღმველებმა 65 ფეთქებადსაშიში მოწყობილობა გააუვნებელყვეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 25 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.2096; ევრო - 3.5431;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2145;
100 რუბლი - 3.2069; თურქული ლირა - 0.2168;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8929;
1000 სომხური დრამი - 6.5695.

**ამინდი 23 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -4, | დღე | +6 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -8, | დღე | +4 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -3, | დღე | +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +14 |
| თბილისი: | ღამე | 0, | დღე | +5 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge